რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კვირა, 2 ივლისი 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის" გაგრძელება

ფასი 10 კაპ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—20 მ., ნახევარი წლით—11 მან., 3 თვით 6 მან. ერთი თვით—2 მან. ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება არა ნაკლებ 5 მანეთისა. მისამართის შეცვლა—6 შაური. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს. ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ пч. 199. Власію Малакіевичу Бохоха

სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქ ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 86 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 86

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! შეგვაძლიეთ **პარტიული სტამბა.** პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

„ერთობის" კანტორისაგან

უმორჩილესად ვთხოვთ ყველა იმათ, ვინც ჩვენს სახელზე ფულებს გზავნის აუცილებლათ აღნიშნონ ფულის გამოსაგზავნ კუპონზე მათი დანიშნულება. ვინაიდან წერილები, რომელშიდაც ფულის დანიშნულებაა აღნიშნული, ხშირათ იკარგება და კანტორისთვის ფულების დანიშნულება გაურკვეველი რჩება. აგრეთვე უმორჩილესად ვთხოვთ, რომ კერძო შემოწირულებებს, რომელსაც რედაქციასთან კავშირი არა აქვს, რედაქციის სახელზე ნურავინ გამოგზავნის.

„ერთობის" კანტორა.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი

მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით. საქალაქო არჩევნების საქმეთა შესახებ მდივანი ცნობებს იძლევა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ვერის მუშათა ს.-დ. კლუბში

უდილნის ქუჩა № 3. კვირას, 2 ივლისს გაიმართება

საღამო

მუშათა ს.-დ. კლუბის ფონდის გასამდიდრებლათ.

1) ლექცია რუსულად და ქართულად—ნათაძისა და იშკოვისა. 2) სალიტერატურო განყოფილება. 3) საკონცერტო განყოფილება.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ◆ ბილეთის ფასი 50 კაპ.

მე-3ე სამილიციო უბანში

მეორე კომერციულ სასწავლებელში არსებობს რ. ს. დ. მ. პ. მეორე პოდრაიონის ბიურო, გონჩაროვის ქუჩა № 38. ღიაა მუდამ დღე საღამოს 10 საათამდე. აქვე შეიძლება ახალი წევრების მიღება და იყიდება ბროშიურები—თფილისის და საოლქო კომიტეტის გამოცემანი, არსებობს სამკითხველო, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ყველა ამხანაგებმა.

თავმჯდომარე გ. თევდორაშვილი.

ამიერ კავკასიის ბანკი

თფილისი ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5 ტელ. № 5—26.

დაიწყებს თავის მოქმედებას 3 ივლისს 1917 წელს.

2—2

აუქციონი.

თფილისის ქალაქის ლომბარდი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 2 ივლისს, დილის 10 საათზე, ლომბარდის შენობაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ვადა გასული დაგირავებული საგნები, რომლებიც შესდგება ძვირფასი ლითონეულისა და ქვებისაგან, ლითონის საგნებისა, საკერავი მანქანებისა, ნოხებისა, ტყავეულისა, ტანსაცმელისა და საერთოთ ყოველგვარი მოძრავი საქონლისა.

თფ. ქალაქის საარჩევნო კომიტეტისაგან და თფ. ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის არჩევნების გამო.

თფილისის საარჩევნო კომიტეტი ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ განცხადებები სიების შესწორების შესახებ, რომელიც შემოტანილია 24 დან 28 ივნისამდე განხილება ქალაქის კომიტეტის მიერ 29 და 30 ივნისს, 1, 2 და 3 ივლისს ამა წლისა. განცხადების შემომტანნი შეუძლიანთ მოითხოვონ ცნობები განცხადებების შესახებ საარჩევნო კანცელარიაში (საზამთრო სადგომი არტისტიულ საზოგადოებისა გოლოვინის პრ. № 21) 4 ივლისს ამა წლისა დილის 10—3 საათამდე და საღამოს 7—10 საათამდე. (1—1).

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა სახლის ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულათ	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულათ	10 „
3. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
4. „ „ „ ქართ.	5 „
5. ძირს სოც. დემ. ბრაკეს რუს.	20 „
6. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმმართველობა რუსულათ	20 „
7. იგივე წიგნაკი ქართულათ	20 „
8. საყოველთაო საარჩ. უფლება რუს.	15 „
9. ოთხი ძმა ქართულათ	35 „
10. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
11. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
12. აგრარულ პროგრ. კრიტიკა რუს.	15 „
13. შრომა და კაპიტალი ქართულათ	35 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. რა უნდათ სოც. დემოკრ. რუს.	20 „
2. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
3. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართულათ.	
4. ს. დ. პ. პროგრ. სომხურათ და თათრულათ.	
5. დამფუძნებელი კრება თათრულათ.	

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ქუთაისში

ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკი სახლში.

ექიმი გ. ი. მუხაძე

იღებს [illegible] ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. ხუციშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გაკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფებს მიიღებენ დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ს. საათამდე

ექიმი პ. ი. [illegible]

შინაგან [illegible] ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] ტელეფ. 5—00.

ექიმი მ. გ. [illegible]

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი, ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულ სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნაშ. საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევის ქუჩა, № 19.

კავკასიის მუშათა და [illegible] საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სახალხო სახლში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8

მუშათა საკითხი.

ეკონომიური ცხოვრება დღითი დღე რთულდება. სამი წლის ომმა ერთიან დასცა მუშათა კეთილდღეობა, ხოლო მილიარდები ჩაუხრიალა ჯიბეში ვაჭარ მრეწველებს და მათ ამყოლ-დამყოლთ. ომი დემოკრატიის ეკონომიურ დაქვეითებას მზადებს.

რა გასაკვირალია, რომ რევოლუციის ხანაში მუშათა კლასი მედგრათ ამხედრდა ბურჟუაზიის საწინააღმდეგოთ და თავისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუდგა, მაგრამ ბრძოლა ნაყოფიერი მხოლოდ მაშინ იქნება, როცა მუშათა კლასი შეკავშირებულია და წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად მოქმედებს. უამისოთ ეს და მთელი ეკონომიური ცხოვრება აიწეწ-დაიწეწება და მით კონტრ-რევოლუციონერთა აღორძინებას გზა გაეხსნება. ამიტომ იყო რევოლუციონური ორგანოები და უპირველესათ მუშათა დეპუტატების საბჭოები მომრიგებელ კამერების შედგენას [illegible]. აი საუკეთესო საშუალება შრომისა და კაპიტალს შორის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად და ამ გარდამავალ ხანაში რევოლუციონური წესიერების დასამყარებლად.

მაგრამ ზოგიერთ ადგილებში მუშები სხვა გზით მიდიან. ამას გვაუწყებს შრომის მინისტრი მ. სკობელევი. საქმე იქამდის მივიდა, რომ ფაბრიკა-ქარხნების ხელში ჩაგდებასაც ლამობენ.

სოციალდემოკრატიის მიზანია კაპიტალიზმის დამხობა და საწარმოო საშუალებათა საზოგადოების ხელში გადაცემა. მაგრამ ეს შეძლება არა კერძო ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მიერ ხელში ჩაგდებით, არამედ მთელი სახელმწიფო ძალა-უფლების პროლეტარიატის მიერ დაპყრობით და ყველა საწარმოო საშუალებათა სახელმწიფოს და ადგილობრივ თვითმართველობათა ხელში გადაცემით. ეს მოითხოვს შესაფერ ეკონომიურ პირობებს. უამისოთ მუშათა კლასი უძლური იქნება სოციალიზმისაკენ ნაბიჯი გადადგას და მისი ამ მიზნით ამოძრავება ისეთივე სისხლის ღვრით დამთავრდება, როგორც მოხდა კომუნისტთა აჯანყების დროს 1871 წ. საფრანგეთში.

მრეწველნი მუშათა დამორჩილებას ლამობენ და ამ მიზნით აშკარათ თუ ფარულათ მასიურ ლოკაუტს იწყებენ. რომ მას პასუხი გავცეთ, საჭიროა მუშათა ორგანიზაციების გაძლიერება. საჭიროებისას ფაბრიკა-ქარხნების თვალყურის გდება და მათი ამუშავება დროებითმა მთავრობამ და ადგილობრივმა თვითმართველობებმა უნდა იკისრონ, რასაკვირველია მუშათა ორგანიზაციების მონაწილეობით და აქტიური დახმარებით.

სწორეთ აქეთკენ მოუწოდებს შრომის მინისტრი მუშებს. მომრიგებელი კამერები შრომასა და კაპიტალს შორის ყოველგვარ უთანხმოებათა გასარჩევად და მრეწველთა ლოკაუტის წინააღმდეგ მთავრობასა და ადგილობრივ თვითმართველობათა კონტროლი, აი ერთათ ერთი სწორი გზა.

წარმოუდგენელი კრიზისი.

რუსეთის დიდ რევოლუციას მეტათ მძიმე ეკონომიური და ფინანსიური კრიზისის ხანაში მოუხდა წარმოშობა. ხანგრძლივმა მსოფლიო ომმა მთელი რუსეთის საწარმოო ძალთა განვითარება შეაფერხა, მიმოსვლის საქმე არეულია და შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომელსაც ეკონომიურ ცხოვრების ანარქია ეწოდება.

ასეთმა ანარქიამ ნიადაგი მოუმზადა არსებულ რევოლუციის წარმოშობას და ისეთივე ანარქია ნიადაგს უმზადებს კონტრ რევოლუციის გაჩაღებას.

ყოველგვარი ნაწარმოები იქნება ეს სამრეწველო თუ სამეურნეო—დღითი-დღე ძვირდება, განსაკუთრებით ძვირდება პირველ მოთხოვნილების საგნები და ფართო დემოკრატიული მასა [illegible] გაჭირვებაში იმყოფება.

გაძვირებას ზედ ერთვის ნაწარმოების ბაზარზე უეცარი ნაკლებობა და [illegible] სხვადასხვა საქონლის [illegible] გაქრობა.

ასეთ პირობებში სპეკულიანტები მარჯვეთ სარგებლობენ და ყოველგვარ ნაწარმოებს 400—500 პროცენტით აძვირებენ. ხალხის გაჭირვება, ნაწარმოების წარმოუდგენელი გაძვირება კაპიტალისტთა კლასის გამდიდრების საუკეთესო წყაროთ გადაიქცა და უკანასკნელნიც მილიონობით ქონებას ფუფუნებს იძენენ.

ფართო მასის წარმოუდგენელი გაჭირვება ბურჟუაზიული კლასების ფუფუნების წყაროთ გადაიქცა და ისინიც თავიანთ გაზვიადებულ მოთხოვნებს დღითი-დღე აფართოებენ.

დაქირავებული კლასი, რომ სისტემატიურ გაჭირვება-შიმშილს განიცდის, სამაგიეროთ მეორე დამქირავებლები ფუფუნების მორევში იხრჩობიან და მათ გაღიზიანებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას საზღვარი აღარ ედება. ერთი სიტყვით გაბატონებული კლასები თავიანთ ეკონომიურ პოლიტიკით ქმნიან ისეთ ეკონომიურ კრიზისს, რომელიც ყოველ დღე დამშევის ნიადაგზე ანარქიას ნიადაგს უმზადებენ და ეკონომიურ ცხოვრებაში წარმოუდგენელი დეზორგანიზაცია შექმნეს.

მართალია რევოლუციამ დემოკრატიულ ორგანიზაციებს ეკონომიურ ნიადაგზე ფართო სამოქმედო ასპარეზი მისცა, მაგრამ ეს ახლად ფეხადგმული ორგანოები ჯერ ისე არ არიან გამაგრებულნი, რომ არეულ დარეულ ცხოვრებაში დროის შესაფერი ცვლილებანი შეიტანონ.

ძველმა მთავრობამ, ბურჟუაზიულმა კლასებმა და მათ მიერ წარმოშობილმა ომმა წარმოების ურთი-ერთობა ისე ღმათ შეარყია, რომ მისი ოდნავ გამოსწორებაც კი ფართო დადებით მუშაობას მოითხოვს.

აი რევოლუციონური ძალების მოქმედება სწორეთ აქეთ უნდა იქნას მიმართული. რევოლუციონური ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები სწორეთ ამ ნიადაგზე ორგანიზაციულათ უნდა მოქმედებდნენ და შეერთებული რევოლუციონური ძალებით ცდილობდნენ ეკონომიური მდგომარეობის მოწესრიგებას.

ასეთ შემთხვევაში ანარქიული გამოსვლები, თუნდაც კაპიტალისტთა ქონების და ბანკების დაჩემება ნაყოფს ვერ გამოიღებს, პირიქით იგი ისედაც არეულ-დარეულ ცხოვრებას უფრო მეტათ შეარყევს და ეკონომიურ ანარქიას ნიადაგს მოუმზადებს. ანარქიის მამათ მთავარი ამ ჟამად თვით ბურჟუაზიული წარმოების და ბურჟუაზიული ნაწარმოების განაწილების წესია და ვინც ამ ანარქიის გაძლიერებას თავისი ნაბიჯებით ხელს შეუწყობს—ის ეჭვს გარეშეა ბურჟუაზიის კონტრ-რევოლუციონურ მოძრაობას ხელს შეუწყობს და მათ წისქვილზე წყალს მიუშვებს.

არსებული ეკონომიური კრიზისი საზოგადოებრივი წარმოების ურთიერთობათა შედეგია, და ვისაც მისი ასე თუ ისე მოწესრიგება სწადია, ის აუცილებლათ ასეთ მოწესრიგებას საზოგადოებრივი ძალის მეოხებით უნდა ეცადოს.

გზა ერთია: ეკონომიურ ასპარეზზე საზოგადოებრივი დემოკრატიული ძალები ორგანიზაციულათ უნდა გამოვიდენ; ცენტრალური და ადგილობრივი რევოლუციონური ორგანოები შეთანხმებულათ უნდა მოქმედებდნენ და გამძაფრებულ კრიზისს წინააღმდეგ ორგანიზაციულათ გამოდიოდნენ.

სწორეთ ასეთი გზით შეიძლება კრიზისი განელება, კაპიტალისტებისა და აწარმოებელთა წარმოუდგენელ მოგების შემცირება, თვით სპეკულიაციის შეზღუდვა სხვა ამისთანებში, რომლებიც ფართო მასას არსებობას [illegible] და მას ყოველგვარ საჭიროებას [illegible].

ამ ნიადაგზე მუშაობა უკვე დაწყებულია და რამდენათაც ასეთი ორგანიზაციული მუშაობა ფართო ნიადაგზე დადგება, იმდენათ კრიზისი განელდება და მთელი მოთხოვნილების საგნები ხალხის ხელმისაწვდომ ფასებში გაიყიდება.

ორგანიზაციული მუშაობა—აი რა იხსნის ხალხს არსებულ ეკონომიურ კრიზისიდან და აი რას უნდა ეტრფოდეს რევოლუციონური კლასები,

პრესა.

„დაშნაკიდების" „ჰორიზონმა" ჩვენი გაზეთიდან (№ 80) გადაბეჭდა წერილი „ნაციონალისტთა ბლოკი" და შემდეგი შენიშვნა გაუკეთა, რომელიც აქვე მოგვყავს სიტყვებით. გაზეთი შემდეგ პასუხს გვაძლევს:

„ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ქართ. სოც.-დემოკრ. ორგანოს წერილის თარგმანი. წერილიდან მკითხველი გაიგებს, [illegible] დენი ქინიანობა და ფილისტერ[illegible] მის გლეხთა ყრილობის რწმუნებულების [illegible] ლება მიიცემათ დანიშნულ[illegible] რამდე მიიღო ქართ. ს[illegible]ტ. [illegible] ტ ვნობა. ყრილობაზე ქართ. სოც.-დემოკრ. თავიანთ სომეხ „კლიკოვრებით" [illegible] სთესდენ ერთა შორის. სოც.-დემოკრატებ შეკავშირდნენ თათარ ბეგებთან და [illegible] მეთაურობით და თათრის [illegible] გლეხობა გამოაცხადეს სომეხ გლეხ[illegible] წინააღმდეგ. [illegible] წოდა [illegible] ხელი ქართველ გლეხ[illegible] როგორც „ერთობა" სწერს, არამედ—[illegible] რის ალალ[illegible] სოც.-დემოკრატ დე[illegible] გებს. თუ რამდენათ ძლიერია [illegible] ქართ. სოც.-დემოკრატები [illegible] მი, ეს ნათლად [illegible] ნ [illegible] თეს უკიდურეს ვიწრო [illegible] მაგრამ მიზანს მაინც ვერ [illegible] შემა მშრომელმა ხალხმა თავის [illegible] სოლიდარობით და მტკიცე შეგნებ[illegible] ამტკიცა, რომ ყველა ეს პოლიტიკა[illegible] საშუალებანი [illegible] მიმართული [illegible] ნეულობას [illegible] ნ[illegible] ზმის შესახებ [illegible] დემოკრატებს ლაპარაკი [illegible] ვ ნიადაგ ყრილობაზე თავიანთ[illegible] მათ დაამტკიცეს, რომ ქართ[illegible] დემოკრატები არა თუ ნაც[illegible] არიან, არამედ ზრმა შოვ[illegible] სწორედ ამ შეგინებმა [illegible] რამიშვილი მიიყვანა მასს [illegible] ლოთ [illegible] საშუალებამ[illegible] ველ პატიოსან ადამიანში [illegible]

საერთაშორისო ომი

დ ლომნიცას რაიონში რუსის ჯარი წინსვლას განაგრძობს. აქ მდინარის მარცხენა [illegible] გადალახეს, რამდენიმე სოფელი და გამაგრებული მაღლობები დაიკავეს. ვლადი[illegible]ინის მიმართულებით მტერმა შემოტევა დაიწყო, მაგრამ რუსის ჯარმა მათი [illegible]ის შეტევა მოაგერია. 27 ივნისიდან პირველ ივლისამდე რუსის ჯარმა ტყვეთ [illegible] 850 ჯარისკაცი და 10 აფიცერი. ამასთან ხელთ იგდო 5 ზარბაზანი და 10 [illegible] მფრქვეველი.

რუმინია-კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

საფრანგეთის ფრონტზე გერმანიის ჯარი გააფთრებულ შეტევას აწარმოებს, საარტი[illegible]იო სროლა განაცხოველა.

შამპანში მდ. ენის რაიონში საარტილერიო სროლა სწარმოებს, აგრეთვე ნიუპორის [illegible]ონში, სადაც ინგლისის ჯარი მტრის სროლას მედგრად უპასუხებს.

იტალიის ფრონტზე საარტილერიო სროლაა.

გამოიწვევს. ამ ყრილობაზე ზნეობრივი გამარჯვება დაშნაკცუთიუნს დარჩა და სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ „ერთობა“ ასე გაცოფებული ლანძღავს დაშნაკცუთიუნს. ესაა იმის მიზეზი, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები ასე ცხარობენ და ღელავენ“. („ჰორიზონი“ № 135).

რა სთქვა ამით დაშნაკელთა „ორიზონმა“? პირველად, როგორც დაინახეთ, სთქვა ის, რასაც ჩვენს წინააღმდეგ ფედერალისტები სწერდენ „სახალხოში“—კერძო [illegible] გლეხკაცი დარაზმეთ ჩვენს წინააღმდეგო, მაგრამ იმას ისე დიდ ყურადღებას არ აქცევს „ორიზონი“ მისი სული უფრო ნაციონალისტურათ ღელავს, ვინემ სოციალისტურათ. [illegible] სთვლიდა ერთა [illegible], თათრის ბნელი [illegible] დარაზმეთ, [illegible] სომხის გლეხობას და ა. ს. [illegible] სომხის გლეხებო! თავს უშველეთ! თქვენს წინააღმდეგ ქართველი სოციალ-დემოკრატია [illegible], თან მიჰყავს [illegible] თათრის გლეხობა. [illegible] სომხის გლეხობას. [illegible] დაშნაკელები [illegible] სომხის გლეხობას და მათ [illegible] აგიტაციის [illegible] სომხის [illegible] ხალხი და გლეხკაცობა სამარცხვინო [illegible] ჩაითრიეს და [illegible] თქვენ ვერ [illegible].

[illegible] როგორც რუსები [illegible] „[illegible]“ [illegible], მაგრამ ყველაზე დიდი „[illegible]“ დაშნაკელების სოციალისტობა!..

* *

„თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა უწყებებში“ მოთავსებულია ლ. ი. დავითოვის შემდეგი წერილი:

„ამხანაგო რედაქტორო! მე მიტინგზე გამოვედი, სადაც მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატებთან არსებულ პროპაგანდისტთა კოლეგიის სახელით ვლაპარაკობდი. ვასაბოვ ამხანაგ ჯარისკაცების გამოფხიზლებისთვის [illegible], იმიტომ ხომ არა, რომ [illegible] წლის [illegible], [illegible] ლაპარაკის წყალობით იძულებული გავხდი ჯარისკაცის ფარაჯა გამეხადა; იმიტომ ხომ არა რომ ომში დასახიჩრებული ხელი და ტყვიისაგან გაგლეჯილი [illegible] სიცოცხლე მიჩვენებინა; იმიტომ ხომ არა, რომ წარსული რევოლუციის ისტორია ეს მაცნობს, როგორც პარტიულ [illegible] და ხალხის ერთგულს? ვასაბოვ ამხანაგის [illegible]—[illegible] თუ არა, და თუ არა—ვინ [illegible]—შეგნებულმა [illegible] ჯარისკაცმა თუ ჯარისკაცის ტანისამოსში გადაცმულმა ჟანდარმმა“.

გულუბრყვილობის [illegible] შენ, ამხანაგო! [illegible] ადამიან! ამ გულუბრყვილობის [illegible] უფრო [illegible], [illegible] და [illegible] „[illegible]“ [illegible] ჩვენი „[illegible]“ [illegible] „[illegible] რაიონი“-ში. [illegible] გაზეთი სვამს საკითხს—„[illegible] თუ არა სამოქალაქო ომი“—[illegible] „[illegible]“. ნათქვამია სოციალისტ მინისტრების [illegible] [illegible] და [illegible]. დასასრულს გაზეთს არ მიაჩნია [illegible] სამოქალაქო ომის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ხელში ჩაიგდებენ და ამიტომ [illegible] მაინც [illegible] თავ-

ამიტომ ჩვენ ვამბობთ, ვინიცობაა, თუ [illegible] ისეთი მომენტი, როდესაც რევოლუციისა და სოციალიზმის ინტერესები [illegible] იქნებიან, ჩვენ უარს არ ვიტყვით [illegible] სამოქალაქო ომის [illegible].

[illegible] ნათქვამი სიტყვებია, მაგრამ ისე [illegible] დღევანდელ მომენტს, როგორც [illegible]. ტყუილათ კი არ სწერდა [illegible] „ნოვაია ჟიზნი“-ში ნ. როჟკოვი ლე[illegible]ების შესახებ შემდეგს:

„[illegible]ლობა იმისაგან კი არ წარმოს[illegible] მათ რევოლუციასწრაფით, [illegible] რევოლუციისადმი რწმენა არ [illegible] და ბურჟუაზია მათ წარმო[illegible] მტრის მეტ დიდ ძალათ. [illegible]—მეტად სუსტ ძალათ. [illegible] მათი მისწრაფება—[illegible] ყველაფერი საჩქაროთ, [illegible] ვერაფერს ვერ [illegible] მათი აზრით, გქონდეს და დაჰკარგო, ვინემ ელოდე და მიიღებას ვერ ელირსო. აქედან წარმოსდგება მათი მისწრაფება ჩვენში, ამ ჩამორჩენილ ქვეყანაში სოციალისტურ რევოლუციის ამ წამშივე დაწყების საჭიროების შესახებ. მოსალოდნელია ამ გზით შეეძლოთ დასავლეთ ევროპის „გაბურჟუებული“ პროლეტარიატის გაღვიძება, რომელმაც „რევოლუციონერობასაც“ თავი დაანება. ლენინელი იმ შეშინებულ კაცს მოგვაგონებს, რომელიც განურჩევლად ყველას სცემს—მარჯვნითაც და მარცხნითაც. განურჩევლად მტყუან მართლისა იმიტომ, რომ მას ეშინია. რევოლუცია უფრო ძლიერია, ვინემ მათ ეს ჰგონიათ. რა თქმა უნდა, ის უფრო ძლიერი არ იქნება ნაუცბადევი, უწესრიგო, ანარქისტული მოქმედებებით, პირიქით, ასეთი მოქმედებანი მას კიდევაც დაასუსტებს და კონტრ-რევოლუციას გააძლიერებს. სისტემატიური და თანდათანობით გონიერათ წარმოებული რევოლუცია მოიპოვებს ყველაფერს, რაც რევოლუციონურ დემოკრატიას ესაჭიროება. რა თქმა უნდა სოციალიზმის განხორციელება ჩამორჩენილ ქვეყნებში სისულელეა, მაგრამ ეს ხანა მოახლოვებულია მოწინავე ქვეყნებში და მათ ჩვენი ქვეყანაც გაჰყვება. დემოკრატიას ამ ჟამათ სახელმწიფო ძალა უფლების ხელში აღება არ ესაჭიროება, ამისთვის ის არ არის მზათ არც ეკონომიურათ, არც ტეხნიკურათ, მაგრამ ძალა უფლების ზოგიერთი ნაწილები მაინც უნდა ჩავიგდოთ ხელში და დავიწყოთ პრაქტიკული მუშაობა ადმინისტრატიული ტეხნიკის სფეროში: ეს შემდეგში გამოგვადგება, — ამბობენ ბოლშევიკები. რა თქმა უნდა, უნდა მოვსპოთ ომი, მაგრამ ერთი დაკვრით ხომ არ შეიძლება! საჭიროა მისი შეწყვეტა სისტემატიური ორგანიზაციული მუშაობით მოფიქრებით. შიშიანობა, როგორც სხვა გრძნობაც, ვერაფერი შველი და მრჩეველია ადამიანისთვის. ადამიანის კულტურა გონებისადმი დამორჩილებაში გამოიხატება საზოგადოებრივი და სამოქალაქო დისციპლინის შეგნებაში. და რევოლუციაც სხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს, როცა ის იქნება კულტურული ძალა ზემო მოყვანილი სიტყვების მნიშვნელობით“.

ლენინელები კი „არაფრის წინაშე არ დაიხევენ“.

* * *

ჩვენს „მცირე შენიშვნაზე“ „სახალხო“ ასე გვიპასუხებს:

გაზეთ „ერთობის“ 28 ივნისის ნომერში მოთავსებულია „მცირე შენიშვნა“ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ გლეხთა ყრილობის ანგარიშის თაობაზე. სრულიად რუსეთის მუსულმანთა ორგანიზაციის წევრმა ბამმატოვმა დამატება შეიტანა ომისა და ზავის საკითხის რეზოლუციაში, რითაც მოითხოვდა მოკავშირეებთან დადებულ ხელშეკრულების გამოქვეყნებას, რამდენადაც იგი არ შეიცავს სამხედრო საიდუმლოებას. ამ განცხადების წაკითხვის დროს დიდი აურზაური იყო ყრილობაზე. ჩვენი გაზეთის ანგარიშში შეცდომით იყო აღნიშნული თითქოს რუსები და სოც.-დემოკრატები უშლიდნენ ხელს მოლაპარაკეს. გაზ. „ერთობა“ მართალია იმდენათ (ხაზი ჩვენია), რამდენადაც ამ შეცდომას მიგვითითებს“.

გაზეთი აღიარებს, რომ შეცდომა დაუშვა, აღიარებს, რომ ჩვენი შენიშვნა მართალია, მაგრამ ეძებს გამოსავალ ხვრელს, როცა ამბობს სიტყვა „რამდენადაც“ და შემდეგ განმარტებას იძლევა:

„ნამდვილად საქმის ვითარება ასეთია. როცა ბამმატოვმა ეს დამატება შეიტანა თვით პრეზიდიუმს ეტყობოდა რყევა გამოურკვევლობა—შეეტანილიყო რეზოლუციაში თუ არა. პრეზიდიუმის რყევა ყრილობასაც დაეტყო. გარდა ამისა ამ დამატების წინააღმდეგ გაილაშქრა ფართანიანმა, რომელიც ამ ყრილობაზე როგორც ს.-დემოკრატების არჩეული იყო და ამხ. ნაგი წერეთელიც მოიხსენია. ამ გარემოებამ საბაბი მისცა ს.-დემოკრატების სექციის ოვაციები გაემართა ფართანიანისთვის“.

მაგრამ არც ეს „ხვრელი“ გამოდგა სანდო, ვინაიდან ფართანიანს ჩვენ ყოველთვის ვებრძოდით ყრილობაზე.

დეპეშები.

(პეტ. ტელ. სააგ. 1 ივლისი).

შეთანხმება ფინლიანდიის სენატთან.

პეტროგრადი. ფინანსთა მინისტრი და ფინლიანდიის სენატი შეთანხმდნენ, რომ ფინლიანდიაში გატანილ პურის და სხვა სანოვაგის ანგარიში გაასწორონ.

ბუნტი.

ათინა. გუშინ ტრიპოლში ბუნტი მოხდა. დაატყვევეს 300 ჯარისკაცი და არა სამხედრო პირნი, რომელნიც სამართალში მისცეს. ბუნტი ჩააქრეს.

დამნაშავე ჯარისკაცების დასჯა.

მოქმედი ჯარი. დაატუსაღეს და სამართალში მისცეს ის ჯარისკაცნი, რომლებმაც სენატორ სოკოლოვს სცემეს. პოლკი დაშალეს.

საყოველთაო საარჩევნო უფლება პრუსიაში.

სტოკჰოლმი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ იმპერატორ ვილჰელმმა აცნობა პრუსიის სამინისტროს, რომ საარჩევნო უფლების რეფორმის კანონპროექტს საფუძვლათ უნდა დაედვას საყოველთაო თანასწორი საარჩევნო უფლება. პროექტი დაუყოვნებლივ უნდა შეიმუშაონ, რომ მომავალი არჩევნები ახალი კანონის თანახმად მოხდეს.

ბრაიანის გარდაცვალება.

ლონდონი. გარდაიცვალა ცნობილი ნაციონალისტი პალატის წევრი ბრაიანი.

რიბოს განცხადება.

პარიჟი. სენატის კომისიაში რიბომ (?) განაცხადა: „ჩვენ შეურყეველი უფლება გვაქვს ძალით წავართვათ ელზას-ლოტარინგია. ჩვენ ნებას არ მივსცემთ პლებისციტი მოახდინონ.

რუსეთის სესხი და ფინლიანდიელები.

ჰელსინგფორსი. ფინლიანდიის სენატის სამეურნეო დეპარტამენტის ვიცე თავმჯდომარემ ტოკოიმ თავის მახლობლებს განუცხადა: „დროებითმა მთავრობამ არ დააკმაყოფილა ფინლიანდიის დამოუკიდებლობის მოთხოვნა; ჩვენ ეხლავე დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ავტონომია და ომის შემდეგ საერთაშორისო გარანტია. ჩვენ გვეშინია რუსეთის, რომ ფული მივცეთ, ეს მას [illegible] მოეხმარება. მოკავშირე სახელმწიფოთა დემოკრატია ჯერ არის ძლიერი, უმეტესათ ინგლისის. ინგლისის გაბატონებულ კლასებს რუსეთის დემოკრატიის პოლიტიკაზე გავლენა აქვთ. ფინლიანდია ძლიერ დაზარალდა ამ ომში. მანეთის კურსზე დაჰკარგა 1 მილიონი მარკა. [illegible]00 მილიონი მანეთი ფინლიანდიის (ბანკში ?) ძევს. რკინის გზაზე დაჰკარგა მანეთის კურსზე 20 მილიონი, ფოსტამ 2 მილიონი—ფინლიანდიას თვითონ უნდა 200 მილიონი სესხი. ჩვენ არ შეგვიძლია ხელი მოვაწეროთ თავისუფლების სესხზე და ეს კი საჭიროა. ჩვენ გვთხოვენ სესხათ 350 მილიონ მარკას, ჩვენ შეგვიძლია მივცეთ მხოლოდ [illegible]00—200 მილიონი, უკეთუ რუსეთის მთავრობა ოფიციალურ დეკლარაციით გამოაცხადებს ფინლიანდიის დამოუკიდებლობას შინაურ საქმეებში და მომავალ საერთაშორისო კონგრესს მიანდობს გადასაწყვეტად.

გერმანიის გაზეთები ომის შესახებ.

რომი. რომის გაზეთებში მოყვანილია გერმანიის გაზეთების ცნობები. ეს წერილები ეხლა ისე რიგათ აღარ იწერება როგორც წინეთ. ეხლა ისე დაჟინებით აღარ თხოულობენ ომს, როგორც წინათ და მთავრობას ბრალს სდებენ, რომ მან გერმანია ჩაითრია ისეთ ომში, რომ არ იციან როგორ დაახწიონ მას თავი.

ცენტრალური რადა.

კრემენჩუგი. არაჩვეულებრივმა საერობო თათბირმა ცენტრალური რადა სცნო მთავრობის ორგანოთ და მის სასარგებლოთ გადასდვა 15,000 მანეთი.

ავსტრიელთა პოლკის დატყვევება.

პეტროგრადი. სამხრეთ დასავლეთ ფრონტის ლიტერატურული კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი იტყობინება როგორ შეხვდა ჩვენი ბატალიონი ავსტრიელთა 81 პოლკს. [illegible] არავის ჰქონდა, რომ მტერი უფრო ძლიერი იყო ჩვენზე. უცბათ ჩვენი რაზმიდან გამოვიდა ჯარისკაცი და დაიყვირა: „ამხანაგებო, სამშობლო განსაცდელშია, დავატყვევოთ ეს პოლკი“, ამ სიტყვების გათავებისთანავე ბატალიონი ეკვეთა მტერს და მთელი პოლკი ტყვეთ ჩაიგდო. ეს გმირი ჯარისკაცი ბრძოლის დროს მოჰკლეს. მისი ვინაობა ჯერ არ გამოურკვევიათ.

მინისტრები კიევში.

კიევი. მოვიდნენ მინისტრები ტერეშჩენკო, წერეთელი და ნეკრასოვი. წერეთელი და ნეკრასოვი ფრონტისკენ წავიდნენ. დღეს ელიან კერენსკის. საღამოს მინისტრების თანდასწრებით მოხდება ცენტრალურ რადის ყველა აღმასრულებელ კომიტეტების კრება უკრაინელთა საკითხის გამოსარკვევათ.

ომის დეპეშები.

(პეტ. ტელ. სააგ.)

პეტროგრადი. 30 ივნისი. დასავლეთის ასპარეზზე, ვლადიმირ ვოლინის მიმართულებით, კისელინას სამხრეთ-დასავლეთით მტერმა ჩვენს სანგრებს ზარბაზნის ყუმბარები დაუშინა და შემდეგ იერიში მოიტანა და სანგრების ერთი ნაწილი დაიკავა. მაგრამ მალე კონტრ-იერიშები მივიტანეთ და დაკარგული სანგრები კვლავ უკან დავიბრუნეთ. მდ. ლომნიცაზე შეტაკებები გრძელდება. დასახელებულ მდინარის შესართავთან ჩვენი ჯარი მდინარეზე გადავიდა და მარცხენა ნაპირას რამდენიმე მაღლობი დაიკავა. მდ. ლომნიცა სხვა ადგილებშიაც გადავლახეთ. 28 ივნისიდან პირველ ივლისამდე ჩვენმა ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა 10 აფიცერი და 850 ჯარისკაცი და ხელთ ვიგდეთ 5 ზარბაზანი და 10 ტყვიის მფრქვეველი.

რუმინიის და კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პარიჟი. 29 ივნისი. შამპანში და მდ. ენის რაიონში საარტილერიო სროლამ ცხარე ხასიათი მიიღო. ფლეირისა და „304“ მაღლობის მახლობლათ მტრის მიერ მოტანილი იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ლონდონი. 29 ივნისი. საფრანგეთის ფრონტზე, ნიუპორის რაიონში მტერმა საარტილერიო სროლა დაიწყო და შემდეგ იერიშები მოიტანა, მაგრამ ჩვენ მათი იერიშები შევაჩერეთ.

ლაისას რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

რომი. 28 ივნისი. კორდევოლის რაიონში მტრის საყარაულო მოვსპეთ. სალოს ჩრდილოეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ და მტერი უკუვაქციეთ. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა.

დეპეშა.

თიანეთი. მოეწყო თიანეთის გლეხთა ორგანიზაცია. გუშინ დიდი მიტინგი დემონსტრაცია გაიმართა დროშებით. ხალხი გლეხთა ყრილობის განაჩენებით კმაყოფილია და პროტესტს უცხადებს ბურჟუაზიულ პარტიებს, რომლებიც ყრილობის სახელის გატეხას ცდილობენ.

თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების რწმუნებული რამიშვილი.

ახალი ამბები

შეერთებული კრება. ორშაბათს, 3 ივლისს საღამოს 8 საათ. თფილისის პირველ სავაჟო გიმნაზიის შენობაში შედგება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ცენტრების სოც. დემოკრატიული ფრაქციების შეერთებული კრება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ რუს. ს. დ. მ. პ. საოლქო და თფილისის კომიტეტების წარმომადგენლები.

◆ **შეერთებული სხდომა** რუს. ს. დ. მ. პ. საოლქო და თფილისის კომიტეტებისა, თფილისის ყველა რაიონულ ორგანიზაციებისა და სოც. დემ. ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტისა შესდგება კვირას 2 ივლისს, საღამოს 6 საათზე პირველ საქალებო გიმნაზიის შენობაში (ლორის მელიქოვის ქ), სადაც მოთავსებულია მეოთხე სარაიონო კოლექტივის ბიურო. დღის წესრიგი: ქალაქის საბჭოს არჩევნები. ვინაიდან კრებამ უნდა განიხილოს მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, ამიტომ საჭიროა ზემოხსენებული ორგანიზაციების აუცილებელი დასწრება. სთხოვენ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

◆ **აჭარელთა განთავისუფლება.** დეპ. აკაკი ჩხენკელს იუსტიციის მინისტრმა პერევერზევმა დეპეშით აცნობა, რომ სამხედრო სასამართლოების მიერ დასჯილ აჭარლებს, ლაზებს და სხვა მაჰმადიანებს, რომელთაც სახელმწიფოს ღალატი ბრალათ ედებოდათ, დროებითმა მთავრობამ სასჯელი აპატიათ. დეპ. ჩხენკელი ჯერ კიდევ პეტროგრადიდან წამოსვლისას ესაუბრა აჭარელთა შესახებ იუსტიციის მინისტრ კერენსკის, რომელმაც დაპირება აღუთქვა, ოღონდ დროებით მთავრობის წინაშე დასაბუთებული შუამდგომლობის აღძვრა სთხოვა. დეპუტატმა მიმართა აჭარელთა დამცველ ვექილთა ერთ ჯგუფს, რომელმაც შეადგინა შუამდგომლობა, აჭარელთა ერთმა დამცველთაგანმა ამხ. ეგნატე გეგეჭკორმა ეს შუამდგომლობა ამხ. ა. ჩხენკელის წერილთან ერთად გადასცა დროებით მთავრობის მინისტრ ამხ. აკაკი წერეთელს.

◆ ამხ. ნოე ჟორდანიამ ბევრი საქმეებისა და თან დაღალულობის გამო თავი გაანება კომისარობას. ის ამჟამათ ბორჯომში იმყოფება, სადაც დარჩება 1 ნ. ხ. თვეს.

◆ **კიდევ თვითგასამართლება.** 30 ივნისს ავჭალის ქუჩაზე შემდეგი სამწუხარო ამბავი დატრიალდა. მთვრალი, ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილი კაცი ჩავიდა სასადილოში. მთვრალები სხვებიც ყოფილან თურმე, რომლებიც არაყს შეექცეოდნენ. შემდეგ სასადილოში შეუდგნენ ისინი კასის გატეხას. შეიქნა ჟრიამული. თავი მოიყარა ხალხმა, რამდენიმე ათეულმა ჯარისკაცმა და შეუდგნენ თვითგასამართლებას. ხალხი ყვიროდა: ეს გადაცმული ჟანდარმებია და დაუწყეს ცემა და წვალება მათ. მილიციონერებმა მიიღეს ზომები, რომ წესიერება აღედგინათ და დაიწყეს ჰაერში სროლა, მაგრამ ამაოთ: მათზე არ გასჭრა არავითარმა ხვეწნა მუდარამ. ორი ჯარისკაცი იქვე მოჰკლეს და სამი აწამეს: დაჩეხეს, სიკვდილის პირზე მიაყენეს, რომელთა გადარჩენა შეუძლებელია. ამ ამბავმა გასტანა სამი საათი. ხალხი შეშინდა, დუქნები დაკეტეს და მთელი ქუჩა შიშის ზარმა მოიცვა.

◆ **გაფიცვა.** გაიფიცნენ ფურნის პურის საცხობების მუშები. მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს მუშებს დაიწყონ მუშაობა და მიიღონ ყოველივე ზომები მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. გაფიცულებთან მოსალაპარაკებელ კომისიაში შედიან: გ. ერაძე, მ. პეტროსოვი და ვლ. ჯიბლაძე.

◆ **პროპაგანდისტთა კოლეგიაში.** 29 ივნისის სხდომაზე პროპაგანდისტთა კოლეგიამ დაადგინა: დაუნიშნოს რამოდენიმე პროპაგანდისტს თვიური განსაზღვრული ჯამაგირი, რომ ისინი იძულებული არ იქნენ თავის შესანახათ ფულის შოვნას მოანდომონ დრო; მოიწვიოს კიდევ პროპაგანდისტები სხვადასხვა სამხედრო ნაწილებიდან; გახსნას მოკლე ვადიანი კურსები [illegible] პროპაგანდისტთა მოსამზადებლათ; [illegible] კომიტეტს ყოველთვიურათ 1000 მ. ეს ფული მოხმარდება პროპაგანდისტებისა და მდივნის ჯამაგირს, სამკითხველოს მოწყობას, სხვადასხვა საკანცელარიო ხარჯებს და სხ. არჩეულ იქნა ახალი ბიურო, რომელშიაც შედიან შემდეგი პირები: კოვალიოვი, მეფურტი, რასშიბიშპკინი, რიბრუბი, მარკარიანი და გიკი.

◆ **პეტრე მასლოვი.** გუშინ თფილისში ევგენი გეგეჭკორთან და ალ. ლომთათიძესთან ერთად ჩამოვიდა ცნობილი ეკონომისტი პეტრე მასლოვი. ის დარჩება კავკასიაში სამ კვირას, მ. და ჯ.-კ. საბჭოში აპირებს ფინანსიურ-ეკონომიურ პოლიტიკაზე მოხსენების წაკითხვას.

◆ **ჯამაგირები.** მ. და ჯ. დეპუტატების საბჭომ დაადგინა: პრეზიდიუმის სამ წევრს და ნიშნის თითოს ჯამაგირათ 250 მან. თვეში; კომიტეტის 5 წევრს, რომლებიც მუდმივ მუშაობენ საბჭოში—200 მან. თითოს; ყველა მოსამსახურეებს—885 მან. სულ საბჭოს ხარჯთაღრიცხვა უდრის 2,635 მან. ეს დადგენილება უნდა დაამტკიცოს აღმასრულებელ კომიტეტის საერთო სხდომამ.

◆ **გლეხთა დეპუტატების პრეზიდიუმი.** ამიერ-კავკასიის გლეხთა დეპუტატების საოლქო ცენტრმა აირჩია პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ არჩეულია ნოე რამიშვილი. თავმჯდომარის ამხანაგებად—ზინალოვი, ჯამალიანი და მერხელოვი; მდივნებად—პ. გელეიშვილი, ერზინკიანი, ვერიგინი და პეპინოვი. პრეზიდიუმი მოთავსებულია სასახლეში.

◆ თფილისის სამაზრო სამხედრო საკრებულოში თეთრი ბილეთიანების შემმოწმებელ კომისიაში არჩეულია ვ. ჯიბლაძე.

◆ ვთხოვთ იმ კომისიის წევრებს, რომელნიც არჩეულ არიან მეომრებისა და მეურნეებისა ფრაქციების შესაერთებელ ზომების გამოსამუშავებლათ, უსათუოთ გამოცხადდნენ ორშაბათს, 3 ივლისს ნაშუადღ. 4 საათ. სასახლეში. ეს კრება უკანასკნელია და რამდენიც არ უნდა გამოცხადდეს ის მაინც კანონიერათ ჩაითვლება.

◆ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისაგან რედაქციამ მიიღო 1039 მან. 40 კაპ. პარტიული სტამბის სასარგებლოთ.

◆ თფილისის ქალაქის საელექტრონო სადგურიდან შეიწირეს მუშათა და სალდათთა დელეგატთა საბჭოს წითელი ლიტერატურის სასარგებლოთ 137 მან. 69 კაპ.

◆ გიორგი და ვანო გოგორიკიძეებმა თავიანთი ძმის ბიძინას ხსოვნის აღსანიშნავად გადასდვეს ოცი მანეთი რევოლუციის მსხვერპლთა ძეგლის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლათ. ფული გადაეცა თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს.

◆ თფილისის საგუბერნიო-სასურსათო კომიტეტის რწმუნებულის ამხანაგმა გ. გ. კაფიევმა განცხადება შეიტანა, ის თავს ანებებს ამ თანამდებობას 1 ივლისიდან.

◆ ვერის მუშათა ს.-დ. კლუბში უფილის ქუჩა № 3. დღეს გაიმართება საღამო მუშათა ს.-დ. კლუბის სალაროს გასაძლიერებლათ. დასაწყისი საღამოს 8 ს. ბილეთის ფასი 50 კ.

◆ **ახალი სამკითხველო.** კუკიის კოოპერატივი 1 ივლისიდან ხსნის ჩერქეზოვის ქუჩაზე № 42 უფასო სამკითხველოს.

◆ **სხვადასხვა ამბები.** 29 ივნისს ევგ. სტახენკოს ქალმა მოიწამლა თავი კარბოლის სიმჟავით.

— გაქურდეს ნიკოლაევის ქუჩ. მცხოვრები მაგამედრიანს. წაიღეს 1000 მ. ნივთები.

◆ რკინის გზის სამმართველოში 27 ივნისს შესდგა ლიანდაგის (сл. Пути) მოსამსახურეთა კრება რკინის გზის მუშა მოსამსახურეების მომავალ ყრილობაზე დელეგატის ასარჩევათ. ს.-დ. კანდიდატები გაიშვეს და აირჩიეს [illegible] თანამშრომელი „რევოლიუციონური [illegible]“ [illegible] კუზნეცოვი.

◆ სახალხო თეატრის სცენის მოყვარეს გიორგი ჯაბაურს თავისი ხარჯით გადაუღებია შესანიშნავი სურათები რევოლუციის პირველი დღეებისა და აზრათ აქვს მოაწყოს სოფლად სახალხო კითხვები.

◆ **ბავშვის დაკარგვა.** სამშაბათს 27 ივნისს ნაშუადღევს [illegible] შემდეგ სალდაცი დაიკარგა სოლოლაკის [illegible] ქარხნის პატრონ ლოკსინთან მომუშავე შეგირდი ვანო დონდუაშვილი, 15 წლისა, შუათანა ტანისა, სახე გაწითარი აქვს, ტანთ აცვია ლურჯი სამუშაო ხალათი, თავზე ვატმანის ქუდი ახურავს. თუ ვინმემ ნახოს ვსთხოვ დაუყოვნებლივ მაცნობოს ტრამვაიში არტემა დონდუაშვილს.

◆ **სამგლოვიარო წერილები.** სილ. კობიძე, იოს. ჭუჭიშვილი, გ. ლოლიძე და ქ. ლოლიძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ილიკო კირილეძე პატარავას გარდაცვალების გამო.

— მივიღეთ გიორგი კალანდაძისაგან სამგლოვიარო წერილი მიხეილ სიხარულიძის გარდაცვალების გამო.

◆ ხელოვან მწერალთა ყრილობის მოწყობის ბიურო ამით აცხადებს, რომ მას დიდი სამზადისი დასჭირდა და 9 ივლისისათვის ყოველივე ლიტერატურულად მოწყობა შეუძლებელი შეიქნა, ამისათვის ყრილობა გადადებულია აგვისტოს შუა რიცხვებისათვის. დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

კრებები და მიტინგები.

3 ივლისს, საღამოს 7 საათ. მეოთხე სამილიციო საარჩევნო კომიტეტი სახელოსნო სკოლის დარბაზში (ექსარხოსის მოედან) გამართავს ლექციას შემდეგ თემაზე: „მუნიციპალური პლატფორმა“.

— ბელაბარი, რკინის გზის იქით. მესამე რაიონულ ამომრჩეველთა კომიტეტის მიერ დანიშნულია ლექციები. სომხურ და ქართულ ენაზე წაიკითხავენ ამხ. ა. ახიტანცი და აფხაზავა, დასაწყისი 6 საათზე.

— ორშაბათს, 3 ივლისს დანიშნულია მესამე რაიონული კოლექტივის მორიგი კრება. სთხოვენ ამხანაგებს უეჭველად დაესწრონ.

— გამგეობა მხატვარ მღებართა პროფესიონალური კავშირისა სთხოვს ამხანაგებს დაესწრონ საერთო კრებას, რომელიც დანიშნულია, 2 ივლისს, დილის 11 საათზე სახელოსნო კლუბში, (მიხაილოვის ქუჩაზე). კრება გაარჩევს ბევრ საჭირო კითხვებს.

— მუშათა სექციის სხდომა შესდგება სასახლეში 3 ივლისს საღამოს 7 საათზე.

— დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია მე 8 ლაზარეთის მოსამსახურეთა (გოლოვინის პრ.) კრება. თემა: „დამფუძნებელი კრება“.

— 3 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე დანიშნულია მე 40 ლაზარეთის მოსამსახურეთა კრება.

— 3 ივლისს, საღამოს 5 საათზე შესდგება სამარის „დრუჟინის“ კრება ვორონცოვის ქ. № 9.

— თფილისის მკერვალთა საზოგადო კრება დანიშნულია დღეს დილის 9 საათზე სახალხო სახლში. კავშირის გამგეობა.

— მეორე სამილიციო უბნის ბიურო, ნიშნავს ამომრჩევლების საერთო კრებას 2 მკათათვეს, მეორე კომერციულ სასწავლებელში საღამოს 5 საათზე.

— პროფესიონალურ კავშირის ბიურო სთხოვს ამხანაგ ხელოსნებს, [illegible], დურგლებს, ხარატებს, ბოჭკის მკეთებლებს და სხ. დაესწრონ საერთო კრებას. კრება შესდგება სახალხო სახლში 4 ივლისს საღამოს 5 საათზე.

— 3 ივლისს, დილის 12 საათზე სახალხო სახლში არის დანიშნული თფილისის მილიციონერთა საერთო კრება პროფესიონალურ კავშირის მოსაწყობათ და სხვა და სხვა კითხვების განსახილველათ. ვსთხოვთ ამხანაგებს უცილებლათ დაესწრონ კრებას.

რუსეთის ამბები.

ოტტო ბაუერი. ცნობილ ავსტრიელ სოც.-დემოკრატს ოტტო ბაუერს, რომელიც ამ ჟამათ რუსეთში იმყოფება, როგორც სამხედრო ტყვე, სამხედრო მინისტრმა კერენსკიმ ნება დართო იცხოვროს პეტროგრადში. ოტტო ბაუერი გამოჩენილი სოც.-დემოკრატია. მას დაწერილი აქვს საფუძვლიანი გამოკვლევანი ეროვნული საკითხის შესახებ. როგორც ვიცით, ბაუერის თფილისში გადმოყვანის და განთავისუფლების შესახებ შუამდგომლობა აღძრა ამას წინათ თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ.

— **რუსეთის დემოკრატიის წარმომადგენლები ფინლიანდიაში.** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობამ დელეგატები გაგზავნა ფინლიანდიაში. დელეგატებს დავალებული ჰქონდათ ფინლიანდიაში სესხის შესახებ მოლაპარაკება გაემართათ ადგილობრივ სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან. როგორც „რ. გ.“ გადმოგვცემს ფრაქციის წევრებს დიდის კმაყოფილებით და სიხარულით მიუღიათ ეს. გეგეჭკორთან შეხვედრა, რომლის მოღვაწეობას ფინლიანდიელები დიდათ აფასებენ. გეგეჭკორმა საკუთრივ დაიცვა ფინლიანდიის უფლებები, როცა მესამე სახელმწიფო დუმაში ფინლიანდიის საკითხი ირჩეოდა. რუსეთის დელეგატები მათ მიესალმნენ დემოკრატიული რუსეთის სახელით და სთხოვეს ხელი შეეწყოთ სესხისათვის. ამასთანავე დელეგატებმა მოაგონეს მათ, თუ რა ღვაწლი მიუძღვის რუსეთის დემოკრატიას ფინლიანდიის უფლებათა დაცვის საქმეში და გამოსთქვეს იმედი, რომ ასეთ ძნელ პირობებში, როდესაც რუსეთში ახალი წეს-წყობილება მკვიდრდება, ფინლიანდიის სოც.-დემოკრატია არ დაიყოვნებს გაუწიოს ძმური ხელი რუსეთის სოც.-დემ. პარტიასო. ფინლანდიელებმა საკითხი აღძრეს სესხის უზრუნველყოფის შესახებ, თუ რა მიზანი აქვს ომს და ფინლიანდიაში რუსეთიდან პურის შეტანის შესახებ. ომის შესახებ დელეგატებმა უპასუხეს—ეს სტრატეგიის საკითხია, რის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა აქ ჩვენ არ შეგვიძლია, ყოველ შემთხვევაში, როცა სესხის საკითხი სწყდება, უნდა იქნეს მიღებული სახეში ის გარემოება, რომ რუსის ჯარი არც ისე ადრე იქნება გაყვანილი ფინლიანდიიდანო. სურსათის შესახებ დელეგატებმა აღუთქვეს—ყოველგვარი ზომები იქნება მიღებულიო. სესხის უზრუნველსაყოფათ შეუძლებელია ფინლიანდიაში არსებული რუსეთის ტელეგრაფის და სახელმწიფო შენობების გადაცემაო. ფინლიანდიელებმა სთქვეს, როგორ შეუძლია ასეთ ღარიბ ქვეყანას ასეთი დიდი სესხის განაღდებაო—დელეგატებმა უპასუხეს: სახეში უნდა მიიღოთ ის გარემოება, თუ რა ხარჯებს იწევს სახელმწიფო ამ ომში, რომელიც კაპიტალისტებმა დაიწყეს.—ავტონომიური ფინლიანდიის მოვალეობაა დაეხმაროს სახელმწიფოს, ვინაიდან ომის შესახებ გამოთქმული აზრი დემოკრატიული რუსეთის მიერ ახლა მთელი ქვეყნისათვის აშკარაა. ამასთან, სესხით მიღებული ფული ფინლიანდიაშივე დარჩება, რომელიც ჯამაგირის სახით აქ მყოფ ჯარისკაცებს და მოხელეებს დაურიგდებათ, სახელდობრ „ზაკაზების“ გადანაღდებლათ და სხვ. ფრაქციამ აღუთქვა დელეგატებს საჩქაროთ განვიხილავთ საკითხსო.

ამის შემდეგ დელეგატები გეგეჭკორი და აქსენტიევი აღმასრულებელ კომიტეტში მივიდნენ, სადაც მოხსენებები გააკეთეს მთელი რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობის შესახებ. სხვათა შორის, შეეხნენ ჩვენი ჯარების შეტევის საკითხს. ჯარისკაცების და მატროსების დიდი უმრავლესობა შეტევის მომხრეა. დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ დელეგატებს სვეაბორგში. წამოსვლის დროს ჯარისკაცებმა გეგეჭკორი ხელში აყვანილი მიაცილეს. ამავე საღამოს დელეგატებმა მონაწილეობა მიიღეს სვეაბორგის მოედანზე „ბოლშევიკების“ მიერ გამართულ მიტინგზე. შეტევის წინააღმდეგ სალაპარაკოთ მოწვეული მიტინგი პატრიოტულ მიტინგათ გადაიქცა. „ბოლშევიკებს“ დელეგატების სიტყვების შემდეგ ცოტა და გასავალი დაურჩათ. წამოსვლისას სადგურზე დიდძალმა ხალხმა გააცილა დელეგატები.

წერილი „კავკაზ. სლოვოს“ რედაქციის მიმართ.

„კავკაზსკოე სლოვოს“ მე-143 ნომერში დაბეჭდილია მოწინავე წერილი, რომელიც ეხება ამიერ კავკასიის გლეხთა ყრილობის მუშაობას და მიმართულია როგორც გლეხთა ყრილობის, ისე მისი მუდმივი ორგანოს—გლეხთა დეპუტატების ცენტრის წინააღმდეგ. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ საჭიროთ მიგვაჩნია აქვე მოვიყვანოთ ფაქტიური მასალა.

სამანდატო კომისიამ 950 მანდატის განხილვა მოასწრო. ყოველგვარი საყურადღებო რეზოლუციებს ყრილობა ერთხმად იღებდა. გლეხთა დეპუტატების ცენტრი ერთხმად იქნა არჩეული. ხმები გაიყო მხოლოდ ღვინისა და აგრარული საკითხების შესახებ. აგრარული საკითხის შესახებ ორი რეზოლუცია იყო ყრილობაზე წამოყენებული. ერთი ეკუთვნოდა სოც. დემ. პარტიას, მეორე—ამხ. ბერეზოვს (სოც. რევოლ.). სოც.-დემოკრატების რეზოლუციამ მიიღო 573 ხმა; ამხ. ბერეზოვის რეზოლუციამ 296 ხმა. სამანდატო კომისიის მიერ გარჩეულ 659 მანდატი ყრილობამ დაამტკიცა. სამანდატო კომისიის მიერ განხილული და დამტკიცებული იყო სულ 510 მანდატი სოც. დემოკრატიისა და 270 მანდატი ამხ. ბერეზოვის მომხრეებისა.

ცნობების დაპირდაპირებიდან აშკარაა, რომ კენჭის ყრის შედეგი ოდნავაც არ იცვლება, ხმების განაწილება იგივე რჩება და ყრილობის მიერ არჩეული ცენტრი არ შეიძლება მთელი ამიერ კავკასიის გლეხთა სრული ნდობით არ სარგებლობდეს.

დასასრულ შეუწყნარებლათ მიგვაჩნია გლეხთა ყრილობის მიერ ერთხმად არჩეული ცენტრისთვის, რომლის შედგენასაც ბევრი შრომა დასჭირდა, ავტორიტეტის გატეხვა.

ამიერ კავკასიის გლეხთა ყრილობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი.

მდივანი პ. პ. გელეიშვილი.

არჩევნების წინ.

V.

კიდევ ფაქტები, კიდევ გულის ამრევი მოგონებანი!

ჩემს მეხსიერებაში, როგორც „კალეიდოსკოპში“ ერთი მეორესთან მწყობრათ ელაგებიან ძველი საბჭოს სხვადასხვა „საქმენი საგმირონი“.

— მათ რა გააკეთეს ცხოვრებაში?

ოდესღაც შავში გახვეულმა ნემეზიდამ, სახე დაფლეთილმა ნემეზიდამ, შავი [illegible], გაიღიმა, დაგვანახა ღვთიური სახის [illegible] გამომეტყველება და გვეუბნება:

— „ანგარიშები! ცხოვრების ანგარიშები“!

მაშ მივცეთ ანგარიშები! მივცეთ უშიშრათ, ნუ ვსთხოვთ შებრალებას! ამასთანავე წარვუდგინოთ სიმართლის ღმერთს ძველი „მოღვაწეები“.

ქალაქის ძველმა მეთაურებმა გააკეთეს ერთი „დიდი საქმე“.

ძველმა საბჭომ „დაასრულა“ მეტად მნიშვნელოვანი მუნიციპალური დაწესებულება.

ააგო ახალი სასაკლაო.

მცხოვრებთა რაოდენობის ზრდამ, ქალაქის ახალმა სანიტარულმა და სამეურნეო პირობებმა კატეგორიულათ მოითხოვა ახალი სასაკლაოს მოწყობა.

ძველმა საბჭომ წაიტრაბახა:

— მე ისეთ რამეს გავაკეთებ, რომ ქვეყანას გაუკვირდესო.

და მართლაც საქმე გრანდიოზული იყო შესასრულებელი.

ქვეყანა გაკვირდა, მაგრამ... ქალაქის მამების უტიფრობით.

როგორ „შეასრულა“ ეს ძველმა „ქალაქის [illegible]“. დაწვრილებით ამაზე გასცემს პასუხს მომავალი სარევიზიო კომისია, რომელსაც აირჩევს ახალი ხალხური საბჭო, კომისია, რომელიც დასწერს ყველა იმ პირთ სამარცხვინო ისტორიას, რომლებიც ყოველგან ცხვირს ყოფდნენ, ხალხისათვის ვერაფერს აკეთებდნენ, სამაგიეროთ თავიანთ ღამბაშებს ჯიბეებს უხვათ უსქელებდნენ.

ვის მიანდო საბჭომ სასაკლაოს აშენება, ვის ანდო ხმოსნებმა ის მილიონ ნახევარი მანეთი, რომელიც დაჯდა სასაკლაო?

ოდესღაც „ყველაფრის შემძლე“ და „ყველათ ძლიერ“ ქალაქის თავს ყავდა საყვარელი ფავორიტი:

— ტეხნიკი ალაჯანოვი.

ასე რად ხდება?!

ჩემს ნათელ ფიქრებს კვლავ მოევლო შავი არშია
და დამითალხა გაზაფხულის ნაზი იანი.
ეგება მკითხო, მეგობარო, საქმე რაშია,
რომ დამიჩრდილა შვების დილა, დილა მზიანი?

ეჰ, მე ნუ მკითხავ.. ველურ განგაშს მიაპყარ ყური
და მაშინ შენთვის ყოველივე ცხადი გახდება:
წინ დაგიდგება ბრბო უმიზნო და უსახური...
და შენც ჩემსავით დაიკვნესებ: ასე რად ხდება?!

ვ. რუხაძე.

კაცი სრულიად უბრალო სპეციალური ცოდნის, მაგრამ „არტისტი“, დახელოვნებული ზოგიერთ ეფექტების მოხდენაში, ადამიანის გულის „დაპყრობაში“.

მანაც „დაიპყრო“ ალექსანდრე ხატისოვის გული და სული.

სასაკლაო, ეს უზარმაზარი საქმე, რომელიც მთელ რუსეთში, რიგას თუ არ ვიანგარიშებთ, ერთად ერთი დაწესებულება უნდა ყოფილიყო ჩვენი ქალაქის მამებმა ხელში მისცეს ალაჯანოვს, მარა უკანასკნელის „მუშაობამ“ ქალაქის მამების წინამძღოლობით დიდი ალიაქოთი გამოიწვია საზოგადოებაში.

ახალი სასაკლაოს აშენება სრულდებოდა და საბჭოში კი სხვა და სხვა ხმები ვრცელდებოდა.

ქალაქის საბჭომ აირჩია განსაკუთრებული ორგანო, რომელსაც მიანდო საქმის შესრულება.

ამ ორგანოს ეწოდებოდა

— „საბჭოს აღმასრულებელი კომისია“. ამ კომისიის თავმჯდომარეთ იყო თვით ქალაქის თავი.

როდესაც ხმები სასაკლაოს აგების საქმეში დაშვებულ ბოროტ მოქმედების შესახებ მოედო საზოგადოებას, კითხვის აღძვრა ითავა ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიამ, რომელმაც ასეთი დადგენილება გამოიტანა:

— „საჭიროა გავეცნოთ საყასბოს აგების საქმეებს“.

კითხვის სპეციალურათ შესასწავლათ და გასარკვევათ სარევიზიო კომისიამ აირჩია „ქვეკომისია“, რომელმაც აღმასრულებელ კომისიის და საერთოთ ქალაქის თვითმართველობის ხელმძღვანელ ორგანოებს საშინელი უსიამოვნებანი აგრძნობინა.

საბჭოს პლუტოკრატები ამ უსიამოვნებას ებახოდნენ.

— „მომაკვდინებელ უსიამოვნებას!“

შეიძრა საბჭო, ეს გაშმორებული ტბა, გამოჩნდნენ მისი შიგ [illegible] სხვა და სხვა მჭამელები და ერთი უბედურება დაატრიალეს.

რა იყო? რა მოხდა? რამ შეაზარა ტბის გულში მიმალული ქვეწარმავლები?

სარევიზიო კომისიის არჩეულმა პირებმა საქმის შესწავლის შემდეგ გამოთქვეს ბრალდებანი, რომლებიც ქალაქის კასის ათასი და ათი ათას მანეთის ზარალზე კი არ ამტკიცებდნენ,—ეს ბრალდებანი სვამდა ურიცხვ ზარალზე.

კომისია ამტკიცებდა:

— საყასბოსთვის ნაყიდი [illegible] ხის მასალა ფუჭია, [illegible] და სრულიად უვარგისია.

— ქვა ფუნდამენტისათვის ყოვლად გამოუსადეგარია და ხელში იფშვნება.

— აგურები არ ვარგა, პირობის და კვალობაზე არ არის ნაყიდი, ხელში ადვილათ ტყდება.

— პრობკის პლიტკები საყინულესათვის ვერ არის კარგი ღირსების ნაყიდი და არ არის კარგათ დაკეთებული.

— მიწის სამუშაოების მოიჯარადრე ვერ ასრულებდა კეთილ სინდისიერათ თავის საქმეს. „პოდრიადის“ შესრულებას ადასტურებდა მხოლოდ ტეხნიკი ალაჯანოვი და ეს საკმარისი იყო, რომ კასირს ფული მიეცა მოიჯარადრესათვის.

— თუჯის „კოლონების“ გაკეთება მიენდო მოიჯარადრეებს ოჯახურათ და ამის შესახებ წინდაწინვე არ იყო პუბლიკაცია.

— როდესაც სასაკლაო კამერების მექანიკური საქმეები მოათავა მოიჯარადრემ,—კომისიის თავმჯდომარე ქალაქის თავმა თავისი უფლებით „დანიშნა“ საქმის კეთილსინდისიერათ შესრულების საექსპერტო კომისია და ეს მაშინ, როდესაც თითონ იყო თავმჯდომარე სამშენებლო კომისიის“.

ერთი სიტყვით სასაკლაოს საქმეში აღმოჩნდა დიდი პანამა, მარა საქმის დაბოლავებას ხელი შეუშალეს თვით გამომძიებელ კომისიის ზოგიერთმა წევრებმა, რომლებმაც თავისი მოქმედებით საბუთი მისცეს საბჭოს უმრავლესობას წამოეყენებინათ მათ წინააღმდეგ წმინდა ბრალდებანი ზნეობრივი ხასიათისა.

როდესაც ამ საქმის შესახებ ასტყდა ალიაქოთი, საქმეში უმაღლესი ადმინისტრაციაც ჩაერია, რომელმაც მიუთითა ქალაქის თავს სხვა და სხვა ნაკლოვანებებზე.

ოფიციალურათ მიწერ მოწერაში ამ „ნაკლს“ ეწოდებოდა

— Дефекты въ дѣлопроизводствѣ.

მარა არსებითათ კითხვა უფრო ფართო იყო.

გამგეობა, სასაკლაოს სამშენებლო კომისია და თვით საბჭო მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ და არ იცოდნენ რა ექნათ.

მცხოვრებთ კი ამ საქმეზე გარკვეული შეხედულება გამოუმუშავებული ჰქონდათ, მათ იცოდნენ რა „სორტის“ ადამიანები ედგა სათავეში საყასბოს აგების საქმეს.

როგორც იყო გასჭრა ძველმა ნაცადმა „ხრიკებმა“, საბჭოს უმრავლესობამ თვითმართველობის ხელმძღვანელ ორგანოთა მოქმედება კანონიერათ იცნო და „საქმეც“ გათავდა.

მარა გათავდება კი აგრე მალე და აგრე ადვილათ?

მე ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება მომავალმა საბჭომ დაასრულოს ეს საქმე. მაშინ აღმოჩნდებიან ნამდვილი დამნაშავენი და შესაფერ სასჯელსაც იგემებენ.

ქალაქის ახალი საყასბო რომ დაათვალიეროთ დიდ შთაბეჭდილებას მიიღებთ. გარეგნულათ ეს დაწესებულება მეტად კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, მარა პრაქტიკულათ რა სარგებლობა მოუტანა მან მცხოვრების ღარიბ ნაწილს?

სრულიადაც არაფერი. ბევრს გაუკვირდებათ ასეთი შეხედულება და იკითხავენ

— როგორ შეიძლება, რომ კარგათ მოწყობილმა საყასბომ მცხოვრებთ სარგებლობა არ მისცესო.

ასეთი კითხვა გაუგებრობის ნიშანია. კარგათ მოწყობილი საყასბო კარგი პატრონის და გამგის ხელში რასაკვირველია სარგებლობას მისცემს მცხოვრებთ.

ძველი საბჭო ამბობდა:

— ჩვენ ქალაქის დაწესებულებების მუნიციპალიზაციის მომხრენი ვართო.

მგონია ბ. ხატისოვმა ლექციაც კი წაიკითხა ასეთ თემაზე:

— მუნიციპალური სოციალიზმი!

მარა რა იყო ამ ფრაზების შინაარსი?

— წმინდა ვაჭრული ვიწრო შეხედულება ყოველ ქალაქის დაწესებულებაზე და მეტი არაფერი!

ამ დაწესებულებებიდან ქალაქის მამები თხოულობდნენ:

— Выжимай копейку!

ასეთმა შეხედულებამ საყასბოზედ ომიანობის დროს კი არა ომის დაწყებამდის წინათაც როდესაც ახალმა საყასბომ დაიწყო მუშაობა, ხორცი უფრო გააძვირა, ადგილობრივ მუშების შრომის პირობებიც გააძნელა და გააუარესა.

ქალაქის საქმეების ძველ მმართველ პარტიას რომ ხალხის ინტერესების დაცვა სდომებოდა, ახალ საყასბოსთან ერთათ დაიწყებდა საკუთარ ხორცის საქმეს, გააღებდა სხვადასხვა ადგილებში ქალაქის ხორცის დუქნებს მაგრამ...

ქალაქის ხორცის დუქნები!

ამ საქმეშიც მიუძღვით ძველ მუნიციპალებს „ღვაწლი და შრომა“.

ამომრჩევლებს კარგათ ახსოვდეს დუქნები.

ქალაქის ხორცის დუქნების ისტორიამ მართლაც რომ

— ქვეყანა გააშტერა!

ამ დუქნებზე წლობით ლაპარაკობდნენ ქუჩებში, სახლებში, კლუბებში, ოხუნჯობდნენ არტისტები ცირკებში.

ერთ დროს ქალაქმა დაიწყო ხორცის დამზადების საქმე, მარა სულ ცოტა ხანში აზარალა ქალაქის კასას ამ თავისი „გამოგონებით“

— ორასი ათასი მანეთი!

ხმოსნები იძულებული გახდნენ მიეკეტათ დუქნები.

ფულის გაფლანგვის საქმე გადაეცა საბჭოს იურიდიულ კომისიას, რომელმაც მოხსენება წარუდგინა გამგეობას იმის შესახებ, თუ ვინ სჩადიოდა ბოროტმოქმედებას.

გამგეობამ მოხსენება ქალაქის მთავარ ვექილს გადასცა, და სთხოვა გამოეთქვა თავისი შეხედულება. მთავარმა ვექილმა ასეთი შეხედულება წარუდგინა გამგეობას:

— „ფულის პირდაპირ გაფლანგვაში დამნაშავენი არიან მოხელეები, მაგრამ უპირობოდ დამნაშავე არის თვით გამგეობაც, რომელიც თავისი მოქმედებით თითქოს ხელს უწყობდა ბოროტმოქმედებას“.

ეს იყო მოუდგომელი აზრი ვექილის, ასეთი დასკვნა გამომდინარეობდა თვით ანგარიშებიდან. მარა ქალაქის საბჭოების მთავარმა წინამძღოლმა ამ გადაწყვეტილებას საქმეებში ადგილი არ მისცა, წაშალა საკუთარი ხელით ვექილის დასკვნის ის ადგილები, სადაც გამგეობის დანაშაულობა იყო აღნიშნული, დასტოვა მარტო მოხელეების დანაშაულობა და წინადადება მისცა ვექილს:

— თქვენი დასკვნა ჩემი შესწორებებით გადასწერეთ, ხელი მოაწერეთ და მერე წარმომიდგინეთ.

ეს ასეც მოხდა.

რუსები ამას ეძახიან:

— Скрывать концы въ воду.

მარა დღეს ახალმა ცხოვრებამ დააშრო წყალი, რომელიც ყველაფერს ფარავდა, ამოატივტივა ზევით ეს ფაქტები და ეს „გმირები“.

მაშ, გავასამართლოთ ჯეროვანათ ეს გმირები, ამომრჩევლები.— დევნილი.

შ. ნუცუბიძის ლექციებზე.

ფედერალისტების „ახალმა კაცმა“ ნუცუბიძემ ორი ლექცია წაიკითხა თფილისში. ერთია—„ორი გზა სოციალიზმისაკენ“, მეორე—„რევოლუცია და წვრილი ერები“.

მარქსმა მეცნიერულათ დაასაბუთა სოციალიზმის აუცილებლობა. წარსულის შესწავლით მან ცხოვრებაში აღმოაჩინა კანონები, რომლებიც ჩვენი სურვილის გარეშე აყენებენ კაპიტალიზმის სოციალისტური საზოგადოებით შეცვლას. კაპიტალიზმის განვითარების პროცესშივე წარმოიშობა ძალა, რომელიც საფლავს გაუთხრის თანამედროვე წყობილებას. და ეს მოხდება მაშინ, როცა კაპიტალიზმი უმაღლესათ განვითარდება. ეს არის ერთად ერთი ისტორიული ფაქტებითა და მეცნიერულათ დასაბუთებული გზა, რომელსაც მივყავართ სოციალიზმისაკენ. და ვინც ამ გზას არ სცნობს, მან უნდა დაარღვიოს მისი მეცნიერული საფუძველი, მან უნდა დაამტკიცოს, რომ წარსული არ ამართლებს მატერიალისტურ შეხედულებას ისტორიაზე.

მარქსის მიერ ნაჩვენები გზა ნუცუბიძეს არ მიაჩნია სწორ გზათ. მერე საბუთი? საბუთი ის არის, რომ კაპიტალიზმი თურმე თანდათან ვითარდება, ძლიერდება, მან გადალახა ვიწრო ნაციონალური საზღვრები და მსოფლიოს დაეპატრონა. არ გამართლდა მარქსის შეხედულება, კაპიტალიზმი ვერ შეიცვალა სოციალიზმით, წინააღმდეგ, ის უფრო გაძლიერდაო. ცხადია, ნუცუბიძის წარმოდგენა მარქსიზმზე ცოტას მოიკოჭლებს, მას ჰგონია თითქოს მარქსიზმი ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმი თავის განვითარების პირველ ნაწილში (სავაჭრო კაპიტალი) ქმნის პირობებს სოციალიზმის განსახორციელებლათ. თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაინახავდა, მის მიერ აღიარებული კაპიტალიზმის ძლევამოსილი განვითარება ამართლებს მარქსის თეორიას და არა ნუცუბიძის „სინტეთიურ საფუძველს“. აი სად მიიყვანს ადამიანს მეტაფიზიკური მსჯელობა!. ნუცუბიძეს არ სწამს თანდათანობით განვითარება. ის ფიქრობს, რადგანაც დღესვე არ ხდება სოციალური რევოლუცია მიუხედავათ იმისა, რომ კაპიტალიზმი განვითარებულია. (მაგ. ჩინეთში?) ცხადია, მარქსის შეხედულებაც დამარცხდა და თვითონ უნდა იხსნას კაცობრიობა განსაცდელისაგან, უჩვენებს მას მეორე გზას სოციალიზმისაკენ. როგორია ეს გზა? კოოპერაცია და трудовое крестьянство (მშრომელი გლეხობა)—აი რა მიგვიყვანს სოციალისტურ საზოგადოებამდე! ნუცუბიძე ანგარიშს არ უწევს წარსულის გაკვეთილებს, მან პირდაპირ განაცხადა: წარსული ჩვენთვის საჭირო არ არისო და ამიტომ არც კი ცდილა გაერკვია თუ ისტორიის ფილოსოფიის რომელ შეხედულებას ამართლებს. მისთვის არ არსებობს ის ჭეშმარიტებაც, რომ ერთგვარი მიზეზი ერთგვარ შედეგებს წარმოშობენ და რომ თქვენ ფაქტებზე მიუთითოთ ნუცუბიძეს გეპასუხებათ, მით უარესი ფაქტებისთვის თუ ჩემს შეხედულებას არ ეთანხმებიან... აბა რა საჭიროა ფაქტები, ისტორიის გაკვეთილები, ნუცუბიძე მთავარ როლს ინტელიგენციას აკუთვნებს. ვთქვათ ეკონომიური ცხოვრების განვითარება ამართლებს მარქსის შეხედულებას. მერე რა! ნუცუბიძის ყოვლის შემძლე ინტელიგენცია მოისურვებს სხვა გზით წაიყვანოს ცხოვრება, კერძო მესაკუთრე გლეხები სოციალისტებათ გახადოს (გლეხობა, როგორც კლასი) და კოოპერაციის საშუალებით კაპიტალიზმი მოსპოს. ლექტორი არც კი ცდილა დაემტკიცებინა შეუძლია თუ არა კოოპერაციას მეტოქეობა გაუწიოს კაპიტალიზმს, იმ კაპიტალიზმს, რომელიც მისი აქმითვე, ასე ძლევამოსილათ ვითარდება. მაგრამ ალბათ „სინტეთიურ საფუძველმა“ უკარნახა ნუცუბიძეს გლეხობა და კოოპერაცია ყოფილიყოს რეზერვში და როცა ქალაქში დაჰკრავს ჟამი სოციალურ რევოლუციისა, სოფლიდან დაიძრას სარეზერვო ჯარი და საბოლოო გამარჯვება მიანიჭოს სოციალიზმს. რომელი გზა მიგვიყვანს ქალაქში სოციალიზმამდე, ვინ დაიწყებს სოციალურ რევოლუციას, ამაზე ლექტორი არ შეჩერებულა. თუ მკითხველი იფიქრებს ქალაქში ნუცუბიძეს მთავარ მამოძრავებელ ძალათ მიაჩნია პროლეტარიატი, შემცდარი იქნება. მას იქაც ხომ трудовое крестьянство არ იქნება? ეს ჩემთვისაც საიდუმლოებას წარმოადგენს. მე ვიცი მხოლოდ, რომ ნუცუბიძემ არ გვითხრა ვინ არის „ავანგარდი“ და რომელი გზით უნდა განვითარდეს სოციალიზმი ქალაქში. ნუცუბიძის შეხედულებით კერძო მესაკუთრე გლეხი მდგომარეობითაც და შეგნებითაც სოციალისტია, ე. ი. კერძო საკუთრების წინააღმდეგი, ხოლო პროლეტარი კი, რომელსაც კერძო საკუთრება არ გააჩნია, არა. ასეთია ფსევდო სოციალისტების ობიექტიური პირობების აწონ დაწონა და მისი გარკვევა-გაშუქება. კომუნისტურ მანიფესტში სწერია: მდგომარეობა ქმნის შეგნებასო. პროლეტარის მდგომარეობა პროლეტარულია, მაშასადამე მისი შეგნებაც პროლეტარულია და არა სოციალისტურიო, დაასკვნა ლექტორმა. დასკვნაც ასეთი უნდა!

ლექტორი და მისი ამყოლნი კი მეტათ უკმაყოფილონი დარჩნენ, რატომ მოწინააღმდეგენი არ მოვიდნენ საკამათოდო. ე. ი. დღეს, როცა აურიცხველი საქმეებია საკეთებელი, ვისაც ხალხის მომავალი ინტერესების დღე და ღამ მოსვენება არა აქვს, რატომ არ გაატარეთ ახალ კლუბში 5—6 საათი, რომ

ლვით ნუცუბიძის დებულება: „კერძო მესაკუთრე გლეხი სოციალისტია, ხოლო პროლეტარი კი არაო"; სწორეთ ახირებული პრეტენზიაა!

მეორე ლექციაში ლექტორმა ის აზრი გაატარა, რომ რევოლიუციის წარმოშობაში მთავარ როლს თამაშობდა ნაციონალური იდეა, რომ რუსეთში თანდათან ვრცელდება ფედერატიული რესპუბლიკის მოთხოვნაო. საბუთად კადეტებმა უკანასკნელ ყრილობაზე წამოაყენეს ეს მოთხოვნილება, მასვე მოითხოვენ ს.-რევოლიუციონერები (ეს ხომ ახალი ამბავი არ არის ე. ა.) და გლეხთა ყრილობა. უკაცრეთ თქვენ ნუცუბიძეს, რომ ნაციონალურ საკითხის გადაჭრაში უნდა ვხელმძღვანელობდეთ ერთა თვით-გამორკვევის პრინციპით, ე. ი. თითოეულმა ერმა თვითონ უნდა გადასჭრას თავისი ბედი და არა ტამბოველი გლეხზე ახვევდეს თავის სურვილებს მას თავზე. ფინლიანდიამ, პოლონეთმა უარყვეს ფედერალიზმი და სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვენ. კარგათ ხედავენ ფედერალისტები, რომ ქართველი ხალხი წინააღმდეგია ფედერალიზმისა, მაგრამ მათი „ახალი კაცი" ნუცუბიძე აცხადებს, მართალია ჩვენს მოძღვრებას ქართველ ხალხში გასავალი არა აქვს, ქართველი ხალხი არ მოითხოვს ავტონომიას, მაგრამ ჩვენს იმედებს ის გარემოება ასხავს ფრთებს, რომ პეტროგრადიდან ჩამოუტანენ მას (ქართველ ხალხს) ფედერატიულ კონსტიტუციასო... *

ასე ესმით ფედერალისტებს ერთა თვით-გამორკვევის უფლება!..

ვენე ალათიშვილი.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში

თფილისი.

(მე-4 რაიონის კოლ. მორიგი კრება)

კრება გახსნა ძველი კოლლექტივის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ბერიტაშვილმა. დაესწრო 21 წევრი კოლლექტივისა. აირჩიეს პრეზიდიუმი. თავმჯდომარეთ ფარული კენჭის ყრით აირჩიეს ამხ. რ. აუშტროვი, მიიღო 11 ხმა. თავმჯდომარის ამხანაგებათ არჩეულ იქნენ: ამხ. გ. უსეინაშვილი და ამხ. ვ. ხარფუხელი (ვ. ათაბეგოვი). ამხ. ე. ლომთათიძე (მდივნათ) და ამხ. გ. ზუკაკიშვილი (ხაზინადრათ). შემდეგ მოხდა საკლუბო კომისიის არჩევნები, აირჩიეს: ამხ. 1) არეშიძე, 2) თალაკვაძე 3) ხუთაგური, 4) აველოვი და 5) ქარსელაძე. დასახელდა, ხუთი ამხანაგი თფილისის სოც.-დემ. კომიტეტში თავის წარმომადგენლათ. ეს კანდიდატები საერთოთ, რაიონულ კრებამ უნდა დაამტკიცოს.

შემდეგი კითხვები: 1) პროექტის (თფ. კომიტ.), 2) მეორე სამ. უბნის ბრძოლის კითხვა, 3) გამოცემების გავრცელების საქმე, 4) ერთ-დღიური შემოსავლის გადადება საარჩევნო კომპანიისათვის, გადაეცა თვით პრეზიდიუმს გასარჩევათ.

კოლლექტივის მდივანის წინადადებით გადაწყდა: შეწყდეს ყველა სამილიციო უბნებში წევრების ჩაწერა, ვინაიდან ბევრი არა სასურველი მოხვდენ სიაში, და პარტიაში ჩასაწერათ იქნება ერთი ცენტრი, თვით კოლლექტივის ბიურო. ამიტომ კოლლექტივი სთხოვს ყველა საარჩევნო სამილ. კომიტ. დააბრუნონ პარტ. კვიტ. კნიჟკები და ანგარიში. სთხოვს აგრეთვე კერძო პირთ, ვისაც კი აქვთ კვიტ. კნიჟკები (პარტიული), დააბრუნონ დაუყონებლივ და ანგარიშიც გაასწორონ.

შემდეგი კრება კოლლექტივისა დანიშნულია სამშაბათს 4 ივლისს.

მდივანი: ე. კალ—ლი.

საჩხერე (შორ. მაზ.).

კვირას 25 თიბათვეს ადგილობრივ თეატრის დარბაზში მოხდა საჩხერის სოც.-დემ. კრება. კრების განსახილავი იყო შემდეგი საკითხები.

პრეზიდიუმის არჩევნები.

საუბნო ორგანიზაციის მოწყობა სოფლათ.

საწევრო თვიური გადასახადის აკრეფა.

პროპაგანდისტა კოლლეგიის მოწყობა.

საპასუხისმგებლო კორესპონდენტის არჩევა.

კლუბის მოწყობის საკითხი.

[illegible] საღამოს შესახებ.

წარმომადგენების ანგარიშის მეთვალყურის დაქირავება.

დამოკიდებულება ადგილობრივ კომიტეტთან.

ამ. ქუთ. ს. დ. ორ. ყრილობის დელეგატის ე. გძელიძის მოხსენება.

პრეზიდიუმში კრებამ აირჩია თავმჯდომარეთ და ხაზინადრათ. ამხ. სიმ. ქოლოშვილი, მის ამხანაგათ დ. გძელიძე, მდივნათ კი შალ. გოგაბერიძე. საუბნო ორგანიზაციის მოწყობის შესახებ კრებამ შესაძლებლათ დაინახა, ჯერ ჯერობით მოეწყოს ასეთი სოფ. ქორეთში, ამის შემდეგ მოეწყოს სოფ. სარეკში და შემდეგ სოფ. არგვეთში. საწევრო ფულის შეგროვება კრებამ მიანდო ს. გულოვს. შეადგინეს პროპაგანდისტთა ჯგუფი. ამ ჯგუფს ევალება, კვირაობით ს. დ. კლუბში მოაწყონ ლექციები. საპასუხისმგებლო კორესპონდენტათ კრებამ აირჩია შალ. გოგაბერიძე, კრებამ დაადგინა, რომ მოეწყოს კლუბი, შეიძინოს დროშა და სხვა ნივთები. დროშისთვის გადადევს 100 მან. ქოლოშვილმა აღნიშნა, რომ გამართულ საღამოზე შემოსულა 1400 მან. მხოლოდ წმინდა მოგება დარჩენილა 700 მან. ძველი ანგარიშების შესახებ კრებამ დაადგინა: ყოველივე ანგარიშები უნდა გადაეცეს ხაზინადარს, კლუბის მეთვალყურეთ დანიშნეს დ. გძელიძე.

შალიკო ხვადაბუნელი.

კვარცხანა.

18 ივნისს შესდგა კვარ. სპილ. ჩამომსხმელ ქარხნისა და მაღაროს მუშების საერთო კრება რ. ს. დ. მ. პარტიის წევრებისა. კრების თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ამხ. პლ. ელივერტოვი მდივნათ ამხ. მიხ. ცერცვაძე. დღის წესრიგში შემდეგი კითხვები იყო: 1) საკუთარი კომიტეტის დაარსება თუ რაიონული კოლექტივის, 2) არჩევა პრეზიდიუმისა და კოლექტივის, 3) პარტიული სტამბისათვის დახმარება, 4) მიღება პარტიაში ადგილობრივი კომისრის ამხ. დავით ს. გუგუნავას, 5) პარტიის გაფართოება და პროპაგანდა.

პირველ საკითხის შესახებ კრებამ ჯერ-ჯერობით აქ უნდა დაარსოს რაიონული კოლლექტივი, რომელსაც ექნება დამოკიდებულება ბათუმის საოლქო კომიტეტთან. აგრეთვე გადაწყვიტეს მოეწყოს წრეები და შემდეგ კი მოხდეს პრეზიდიუმის და კოლლექტივის არჩევნები; მესამე საკითხზე კრებამ ერთხმათ დაადგინა: გადასდონ თითო დღის ხელფასი უკლებლივ. აგრეთვე მიმართონ თანამგრძნობ ამხანაგებმა დახმარებისთვის სტამბის ფონდის გასაძლიერებლათ. მეოთხე კითხვა: რადგანაც ახალი კომისარი დავით ს. გუგუნავა ყოფილა პარტიის ძველი წევრი, 1905 წლიდან ღებულობდა მონაწილეობას გურიის ორგანიზაციებში ვირჩევთ საპატიო წევრათ. მეხუთე საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა, რაც შეიძლება გააფართოვონ მუშაობა და მოიწვიონ გამოცდილი ხელმძღვანელი.

ვას. თავაძე.

ქ. ყარსი.

26 ივნისს სამოქალაქო საკრებულოში შესდგა კრება ყარსის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციისა. თავმჯდომარეთ იყო გაგნიძე, მდივნათ ძამსტარიშვილი. მდივანმა მოხსენება გააკეთა კოლლექტივის მოქმედებაზე. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება კონფერენციაზე გაგზავნილ დელეგატებისა, 2) კოლლექტივის წევრების არჩევა, 3) მომენტი და ტაქტიკა, 4) აგრარული საკითხი და სხვა.

პირველი მოხსენება გააკეთა კოსტანოვმა, კონფერენციის მუშაობის შესახებ. როგორც გამოირკვა კოლლექტივის წევრები ზოგი წასულან და ზოგიერთები კი დროის უქონლობის გამო ვერ ესწრებიან კრებას, ამისათვის აირჩიეს ახლები. კოლლექტივში აირჩიეს: ნაფეტა ვექილი კოსტანოვი, ქ ნი შმერლინგ, გაგნიძე, ანთელავა, სკაჩკოვი, ძამსტარიშვილი, მოგალევ, ტკაჩენკო, მუზოვი, გალკინი, თედიაშვილი, ვენგეროვსკი, სარევიზიო კომისიაში უდალოვი, ბაჩენკო, რევნივცევი და 1 კანდიდატი შიბაევი.

შემდეგ ამხანაგმა გაგნიძემ რეფერატი წაიკითხა აგრარულ საკითხზე. სხვა კითხვები მიენდო კოლლექტივს გასარჩევათ.

პეტრე ძამსტარიშვილი.

პროვინციის ცხოვრება.

ქ. ოზურგეთი. ქალაქის თვითმართველობის არჩევნები დანიშნულია 10 ივლისისთვის. ოთხშაბათს 22 ივნისს მოხდა ადგილობრივი ს.-დემ. ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება მიხ. საბაშვილის თავმჯდომარეობით. კრებაზე გამოცხადდა 400 მდე პარტიის წევრი. კრებამ განიხილა კითხვა არჩევნების შესახებ. შემუშავებული იქნა სახმოსნო კანდიდატთა სია, რომელიც წამოაყენა სოც.-დემ. პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციამ სოც.-რევოლიუციონერებსა და უპარტიოებთან შეთანხმებით. სიაში 15—სოც.-დემოკრატია, 2—ესერი და 3—უპარტიო. მეორე სია წამოაყენა სოც.-ფედერალისტებმა, სულ 5 კაცი. საარჩევნო ბრძოლა სწარმოებს; ყოველდღე იმართება აქა-იქ კრებები, სადაც ორთავე ჯგუფი არკვევს თავიანთ მუნიციპალურ პლატფორმას და სცდილობს ხმების შეკრებას.— ოზურგეთის სამაზრო კომისარიატი კრებს ცნობებს ზაკუსოვის, დუმბაძის, კუხალაშვილის, მგელაძის, თაყაიშვილის, მერიძის, ქარცივაძეების, ჯაყელისა და სხვების წარსული მოღვაწეობის შესახებ. ბრალდებები მრავალი დაგროვდა, იკრიბება გურიის ყველა სოფლებში. სამაზრო აღმასრულებელმა და ს.-დემ. კომიტეტმა შეიმუშავეს სამსჯავროს პროექტი, რომლის დამტკიცებას ისინი შუამდგომლობენ ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის წინაშე. თუ ეს დამტკიცებული იქნა, კომიტეტს აზრათ აქვს ადრე გაასამართლოს აღნიშნული პირები. სასამართლოს შემადგენლობა უნდა დარჩეს პროექტის თანახმათ ასეთი: წარმომადგენლები საგუბერნიო, სამაზრო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა, პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები და მუშ. და ჯ. ქ. დეპ. წარმომადგენლები. თავის სახლში დატუსაღებული დავ. დუმბაძე ექიმების შემოწმებით ავათ არის, რისთვისაც ის წინა ღამეს ხალხისა და აგრეთვე პოლიტიკურ პარტიების დაჟინებით მოთხოვნილებისა, ვერ იქნა ციხეში გაგზავნილი. თვით დუმბაძე კი თხოულობს აგარაკზე წასვლის ნებართვას.

— როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვიგეთ, ქუთაისის კომიტეტს თავდებობით განუთავისუფლებია ნიკო თაყაიშვილი და გრ. ქარცივაძე. ესენი ცნობილი რეაქციონერი ჯაშუშები არიან, რომლებიც მავნეობის გამო ოზურგეთის კომიტეტმა ქუთაისის ციხის საპატიმროში მოათავსა. ამათ განთავისუფლებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია გურიაში. საკვირველია, რით ხელმძღვანელობდა ქუთაისის კომიტეტი, როცა ოზურგეთის დაუკითხავათ მათ ანთავისუფლებდა?!

ხუხეინ.

ევლახი. (განჯის გუბ.) საზოგადოთ, განჯის გუბერნიაში ძლიერ გახშირდა ცარცვა-გლეჯა. კერძოთ, ევლახში ყველაზე ფართოთ მოიკიდა ფეხი; ასე რომ, მშვიდობიანი მცხოვრებლების აწიოკება ყოველდღიურ მოვლენათ გახდა. ხვდებიან გზაში ეტლებს, ცარცვავენ გზად მიმავალ მგზავრებს, რომელთაც უკანასკნელი გროშების გარდა, ათ და ოცუღლობით კამეჩებს და ცხენებს უხსნიან ურმებიდან და მირეკვენ. ასეთმა არანორმალურმა მდგომარეობამ, ხალხში დაბადა თვით შეიარაღების სურვილი. დიდი და პატარა იარაღს იძენს. ამ გარემოებით სარგებლობენ ბნელი ძალები და ნაციონალურ შუღლის გასაღვივებლათ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ: „თათრები იარაღს იძენენ, დღეს თუ ხვალ ქრისტიანებს დაგვეცემიან და ამოგვხოცავენო". ბნელ მასაში მათ ამგვარ აგიტაციას გასავალი აქვს და საკმარისია ერთი პროვოკაციული სროლის ხმა, რომ ძმათა სისხლი დაიღვაროს.

აღსანიშნავია ის, რომ ევლახის აღმასრულებელ კომიტეტის წევრები სპეკულიანტები და ბეგები არიან. ამავე დროს, ძველი ბოქაული კომიტეტის წევრია და თავისი ძველი ჩაფრებით „წესიერებას" იცავს.

აბა, თქვენ წარმოიდგინეთ მკითხველო, ასეთი მეთაურები რა ხეირს დააყრის შეუგნებელ ხალხს. მათი წყალობით, მცხოვრებლების დიდმა უმრავლესობამ არც კი იცის თუ რა მოხდა რუსეთში, ან რა ხილია თავისუფლება. ის თითო ოროლა პირები, რომლებიც ქალაქებშია ნამყოფი და ცოტათ თუ ბევრათ, რამე გაუგია თავისუფლების შესახებ, გულნატკენი ამბობენ,—ეს როგორი თავისუფლებაა, თუ ძველებურათ პრისტავ-ბეგებ-სპეკულიანტების ბატონობის ქვეშ ვიქნებითო.

დღეს, როდესაც რუსეთში ძველი რეჟიმი დაინგრა და ახლის შენება ელვას სისწრაფით სწარმოებს ჩვენი მეზობლათ მცხოვრები მუსულმანები და სპარსელები, უყურადღებოთ, ბეგების ანაბარათ არიან დატოვებულნი და ისევ ისე უკიდურეს სიბნელეში ლევენ სულს. ნუ თუ არ მოიპოვებიან, თფილისში ან ბაქოში შეგნებული მუსულმანი ამხანაგები, რომ შემოიარონ ჩვენკენ და აუხსნან ხალხს დღევანდელი მდგომარეობა, შეაკავშირონ და თვითმოქმედებას შეაჩვიონ ეს ჩვენი ძმები, რომ უნებური მტრები არ გახდნენ რუსეთის თავისუფლების. საჭიროა ამას დროიანათ მიექცეს ყურადღება, თორემ ბნელი ძალები თავისას გაიტანენ და მერმეთ გვიანი იქნება.

ხ. ლევანიშვილი.

ხოფ. ფამფალეთი (გურია). წელიწადნახევარზე მეტია, რაც გაიხსნა ფამფალეთის მომხმარებელი საზოგადოება „განთიადი". ამხანაგობას ჯერჯერობით ჰყავს 130 მეტი წევრი. ამ ხნის განმავლობაში ამხანაგობამ შეიძინა ერთი დიდი ხის შენობა, სადაც მოთავსებულია სავაჭრო. აქვე დაარსდა ამ საზოგადოების განყოფილება. აგრეთვე აგარაკ „სამლიაზე" აქვს შეძენილი ვაკიჯვრის სოფლის მომხმარებელ საზოგადოების „სამლია"-ს ზიარათ შენობები. საქმე ძლიერ კარგათ მიდის. 29 დეკემბრიდან 1915 წლისა, ვიდრე 1917 წლის 16 მაისამდის საზოგადოებას მოუგია 2110 მ. 20 კ. 11 ივნისს მოხდა კრება. კრებამ ერთხმად მადლობა გამოუცხადა გამგეობის წევრებს მათი ენერგიული მუშაობისათვის და მოგებული ფულებიდან ორასი მ. დაასაჩუქრა; ამავე დროს ასი მანეთით დაასაჩუქრა კრებამ ნოქრები იროდი ინწკირველი და ბიქტორ მელიქაძე, ხოლო მოლარე ქალი კი ორმოცდა ათი მანეთით.

კრების მონდობილობით მდივანი მოსე ინწკირველი.

ხ. ჩანჩეთი (გურია). შაბათს, 17 ივნისს მოხდა ჩანჩეთის მომმარაგებელი საზოგადოების „ეკონომიის" წევრთა საზოგადო კრება. მდივანმა ნოე პანტურიამ კრებას გააცნო დუქნის ანგარიში. აღმოჩნდა შემდეგი: ხსენებულ საზოგადოებას შეუძენია 1 იანვრიდან 1917 წლიდან გასასყიდი საქონელი სულ 31,046 მ. 29 კ. 8 აგვისტოდან სულ მოგება ჰქონია 2,027 მ. 67 კ. კრებამ ანგარიში დაამტკიცა და შემდეგ სხვადასხვა საკითხების შესახებ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: გახსნან ფურნე, რისთვისაც აირჩიეს სამი კაცისაგან კომისია. ნოქრათ არჩეულ იქნა სიმონ ურუშაძე, გამგეობის თავმჯდომარეთ ამხ. მოისრაფეშვილი. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებათ ისევ ძველები დარჩენ. საწევრო გადასახადის და ნისიების შესახებ კრებამ დაადგინა ვინც ამ თვის დამლევამდის არ შემოიტანს, შემდეგ გამორიცხული იქნება წევრობისაგან. დუქნის კანტროლათ არჩეულ იქნა სერგეი ტულუში. ბიბლიოთეკის შესახებ დაევალა გამგეობას მონახოს საუკეთესო ადგილი.

რაჟიელი.

„ზავოკზალიე" (ნაძალადევი). სახლის პატრონების თავგასულობას საზღვარი არ აქვს. საზოგადოთ ბინას დამქირავებელთა რიცხვი ერთი ასად იმატა. ამით ისარგებლეს სახლის პატრონებმა დიდი მადა აღეძრათ და ბინებზე ქირებს ერთი ასათ მოუმატეს. გარდა ამისა ხშირათ წინდაწინ ორი-სამი თვის ფულს ახდევინებენ. წინათ თუ ოთახი ორი-სამი მან. ღირდა, დღეს ოცი მ. გახდეს. მათზე ვერავითარმა დადგენილებამ და კანონმა ვერ გასჭრა. სახლის პატრონებს არც ზოგიერთი ბინის დამქირავებლები ჩამოუვარდებიან. როგორც სახლის პატრონებს, მათაც მადა აღეძრათ სხვისი გაყვლეფის. ქირაობენ ბინას სახლის პატრონიდან და თვითონ ერთი-ორათ იღებენ სხვებისაგან. საჭიროა ამ სამარცხვინო საქციელს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

ხალჩანი.

ქართული პოლკი.

1914 წ. როდესაც ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, შესდგა ორი ქართული დრუჟინა, თფილისში და ქუთაისში. 1915 წ. იანვარში, დრუჟინები გაგზავნეს ქ. ბათუმში. იქვს თებერვალს უკვე გაისტუმრეს ბრძოლის ველზე. ქუთაისის დრუჟინა გენერალმა მილერმა დასტოვა ხეფე-ბაზარში თავისთან, თფილისის დრუჟინა და ქუთაისის ერთი ასეული გაგზავნეს წინა პოზიციაზე. ამ დღიდან იწყება ამ დრუჟინების მოღვაწეობა.

ბევრი ძნელდება გინებით გაუმასპინძლდენ ამ დრუჟინებს, მაგრამ ისინი მაინც ნაკისრებ საქმეს ერთგულათ ემსახურებიან.

იყო შემთხვევა, როდესაც სხვა ჯარმა უარი სთქვა „მელოს" აღებაზე და თფილისის დრუჟინამ კი იკისრა და დიდი სხვერპლიც გაიღო აშტევის დროს, მაგრამ მაინც დაიპყრა. საგიეროთ არავითარი პატივის ცემა, არავითარი შებრალება, სულ უნდობლობა, მოღალატეს სახელის ტარება და სხვა. ერთი სიტყვით ბევრჯელ უთქვამს გენერალ მილერს „სამოწყალოთ გინახავთო". ჩვენთვის არც ტანისამოსი იყო, არც ფეხსაცმელი.

შემდეგ ეს დრუჟინები ქართულ პოლკათ გადააკეთეს. პოლკი შესდგა პოლკოვნიკ კვინიხიძის ფროსობით. გაიგზავნა სპარსეთში. სპარსეთში არ არის არც ერთი ქალაქი, არც ერთი სოფელი, რომ ჩვენი სისხლი არ იყოს დაღვრილი. სამი წელიწადია ჩვენთვის არც ტანისამოსი, არც ფეხთ საცმელი, არ ვიცით რა დავიცვეთ.

ივნისში ამ პოლკმა აიღო ექვსი სოფელი და ერთი ქალაქი, წინ წაიწია 50 ვერსი. ბუტანელ ცეცხლში ჯარისკაცებს საზამთრო ტანთ საცმელით ცვეთით. ბამბიანი ძონძები და ბამბიანი ქუდები. ეს იწვევს ავათმყოფობას და დღიურათ ვმარხავთ ოთხს—ხუთს. ერთი სიტყვით ჯარი უკიდურეს მდგომარეობაშია. დაავათმყოფებული, ჩაუცმელი, დაქანცული. ამ ჯარს ეხლა ესაჭიროება დასვენება, მოწყობა.

დელეგატი ჯარისკაცი, ს. ხუციძე.

გაზეთის სასარგებლოთ.

გვიგზავნით 10 მან. იმ ფულიდან, რომელიც მმართებს მ. ქორჩილაძის თვით მოვალეს თანხმობით მ. სტამბისა და 5 მ. გაზ. „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლად.

სან. ქურიძე.

პრაპ. იხეილ წილოსანისგან მივიღეთ სტამბის ფონდისთვის—12 მ. 10 კ, ვ ბეშკენაძისა, ს. პლიძისა და ლ. დვალისაგან—15 მ.

მივიღეთ მარიამ წილოსანის ხსოვნის აღსანიშნავად მისი კოლუ შვილისგან—5 მ. სტამბის ფონდისთვის. მანვე შესწირა ამავე მიზნით ლაცის თეატრს 5 მ.

გაზეთის ფონდისთვის პავლე სამოილოვისგან მივიღეთ—3 მ. 80 კ.

ჭიათურის მეურმეებმა 22 აპრილის აღსანიშნავად შეკრიბეს ერთმ ნეთ შორის 519 მ. აქედან გაგზავნებ. თ 467—10 კ. რომელიც უნდა გაიყოს შემდეგ ნაირად: 259—50 კ. პარტ. სტამბის შესაძენათ, გაზ. „ერთობა"-ს 77—85 კ., „ფიქრი"-ს 77—85 კ. „ბარბა"-ს 51—90 კ.

წერილები რედაქციის მიმართ.

მადლობას ვუძღვნით [illegible] რომლებმაც კეთილი ინებეს და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს ს. უხუთის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს.

გ. გორგაძე.

სურახანა (ბაქო). ამ ბოლო დროს სურახანაში მცხოვრებ ქართველებსაც დაეტყოთ გამოფხიზლება 1916 წელს შევაგროვეთ ურთი-ერთ შორის ჩვენი წვლილი, სამკითხველოს დასაარსებლათ.

შეგროვილი ფული გადავეცით ბაქოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას და ვსთხოვეთ დახმარება აღმოეჩინა და კიდევაც დაგვეხმარა წიგნებით და სხვადასხვა ჟურნალ გაზეთებით. დიდი ლოდინის შემდეგ 1917 წელს მაისის პირველ რიცხვებში, ქართული სამკითხველო გავხსენით.

სამკითხველოს გახსნისათანავე მას ნივთიერი დახმარება გაუწიეს მ. ქართაწიშვილმა, უ. ამალლობელმა, ვ. მხეიძისამ, ლ. დათიშვილმ და სხვებმა, სულ ოცდა ორმა კაცმა.

ყველა ზემო აღნიშნულ პირებს ულრმეს მადლობას უცხადებს სურახანის, ქართული სამკითხველოს გამგეობა და აგრეთვე დარწმუნებულია, რომ სხვებიც აღმოუჩენენ დახმარებას და საშუალებას მისცემენ აქაურ გარდამოხვეწილ ქართველობას სწავლა-განვითარების საქმის მოსაწყობათ.

სამკითხველოს გამგეობის მინდობილობით, ლევანტი გიორგის ძე დათიშვილი.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ნერსეს მოსეს ძე ქულოევი მსახურობდა დეკემბრის პირველ რიცხვებამდე ქ. რიგაში, მეხუთე ციმბირის რკინისგზის ბატალიონში 1 როტაში, თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ გვაცნობეთ ст. Баладжары Сергѣй Моисевичу Кулоеву.

ჯარისკაცი ალექსი სოლომონის ძე ჯარიაშვილი მსახურობდა გერმანიის ფრონტზე კავკასიის პირველ მსროლელთა პოლკში მესამე როტაში. თუ ვინმემ რამე იცის გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: Кавказская Дѣйствующая Армія Грузинскій Стрѣлковый полкъ 3 рота Ивану Джаріашвили.

ჯარისკაცი გიორგი კონსტანტინეს ძე კილაძე მსახურობდა კავკასიის მომქმედ ჯარში 17 ქვეითი მსროლელთა პოლკში მე 3 როტაში მე 4 ზვოდში. ვსთხოვთ თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ გვაცნობოს Ст. Ланчхуты въ Дзимитскій сел. Комитетъ Константину Тар. Киладзе.

ჯარისკაცი კონსტანტინე პორფილეს ძე ჯიშკარიანი მსახურობდა მე-4 კავკასიის „ტუზემნი" ბატალიონში 1 როტაში, 1 ზვოდში. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, მაცნობოთ თფილისის ოლქის საბჭოთ სახლი. ლუკა ბერია.

ჩვენი ფოსტა.

აცანა მ. კედუაშვილს. სიას ვერ ვპედავთ. მოკლეთ აკი გამოვაცხადეთ. სიის მეორეჯერ გამოგზავნა რა საჭირო იყო?

დ. გურგენიძეს. მიმართეთ პირადათ კავშირს.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

გამოვიდა საკოოპერაციო ბიბლიოთეკის № 11
„50 წლიწადი სამომხმარებლო კოოპერაციისა რუსეთში",
მ. ლ. ხეისინისა, თარგმანი ი. გ—აიასი.
შეიცავს 84 გვ. ეღირება 1 აბაზათ. კოოპერატივებს წიგნის მაღაზიებს ეთმობა 20—25%, დაკლებით ხოლოდ არა ნაკლებ 25 ცალისა.
მისამართი: Кутаисъ. Редакція журнала „Кооперація".
„აქედანვე შეიძლება კოოპერატივებისა და მათი კავშირების დასაარსებლათ საჭირო სანიმუშო წესდებათა გამოწერა. 10—8

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ
ერთობა-ზე.
გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 20 მანეთი, ნახევარი წლით 11 მან., სამი თვით 6 მან., ერთი თვით 2 მან.
გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.
ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.
თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში" ოლღას ქუჩა, № 6.

ქ. თფილისში, ოლღის ქ. № 6, მ.-გაზეთების კანტორა და წიგნის მაღაზია
„განათლება"-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გაიგზავნება მაზრებში ფული გამოგზავნისთანავე.
[illegible] აგრეთვე ყველა [illegible] „ერთობა", „ბორბა", „კავკ. რაბოჩი", [illegible] „პიქარი", და ყველა ახლად გამოსული წიგნები.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი: ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.